ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 დეკემბერი, 2018 №286 (7831) ფასი: 60 თეთრი

თბილისში, სასტუმრო „ალიანსში“, ლუკა ჩხეტია და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს

გვ.7

„ხელისუფლების წამმზომი ჩართულია. მას 16 დეკემბრამდე აქვს ვადა“

ჩაიშლება თუ არა სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია

გვ.2

გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს

„სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციის შემდეგ სხვანაირ ხასიათს გამოავლენს“

გვ.5

ნიკა ჩიტაძე: „ეს ქალი არაპროგნოზირებადია“

„რევოლუცია არ იქნება!“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი პოლიტიკური ძალა“

გვ.4

სამართალი

დედა-შვილ კვეზერელების მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ყუფარაძე საბერძნეთიდან საქართველოში ჩამოიყვანეს

გვ.7

„კურიერის“ ჯგუფზე თავდასხმის გამო გამოძიება შსს-მ 3 მუხლით დაიწყო

რუსთავში ფერადკანიანი მამაკაცი ცემეს

ეკონომიკა

გვ.6

სესხების პატიების პროექტი, დაპირებისამებრ, 15 დეკემბერს დაიწყება

ოქტომბერში ვადაგადაცილებული სესხები 28.4 მლნ ლარით გაიზარდა

გვ.4

81.250 ლარი ერთ წელიწადში — კიდევ ერთი მოხელე, რომელსაც პრემიერზე მაღალი ხელფასი აქვს

გვ.6

რა დაუჯდება ბიზნესს უბედური შემთხვევების დაზღვევა

ISSN 1987-9385

5 ექსპერტები საქართველოში ქართველი პაშინიანის გამოჩენას ვარაუდობენ

8 უკრაინის ოკუპირებულ ნაწილში რუსული არმიის კონცენტრაცია გრძელდება

3 ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლება წინასაარჩევნო კორიდის ეიფორიიდან უნდა გამოვიდეს“

8 საფრანგეთის ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს განიხილავს

„ხელისუფლების წამმზომი ჩართულია. მას 16 დეკემბრამდე აქვს ვადა“

ჩაიშლება თუ არა სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია

გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკური თვალსაზრისით დეკემბერი საკმაოდ ცხელი გვექნება. გაერთიანებული ოპოზიცია კვლავ არ აღიარებს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს. თუ მისი მოთხოვნები არ შესრულდება, ოპოზიცია რუსთაველზე 16 დეკემბერს შეიკრიბება. 16 დეკემბერს სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია უნდა გაიმართოს.

გუშინ, 2 დეკემბერს, გამართული აქცია მშვიდად დასრულდა. მკვეთრი განცხადებების გაკეთებისა და ულტიმატუმის წაყენების შემდეგ ოპოზიცია დაიშალა.

„ოლიგარქმა დაგვიმტკიცა, რომ გაჭირვებულ ქართველს სტაფილოსაც აარჩევინებს“

აქციაზე ძირითადად არჩევნებზე საუბრობდნენ. ყოფილი ხელისუფლების წევრების თქმით, მსგავსი ძალადობა და გაყალბება საქართველოში არ ყოფილა.

გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას აქციის არც ერთი მონაწილე არ შეეგუება.

მისი თქმით, ოპოზიციის ბრძოლა იქნება სამართლიანი და ისინი არავითარ შემთხვევაში არ წავლენ დესტრუქციულ ქმედებებზე.

– ხშირად საუბრობენ დესტრუქციაზე. დესტრუქციას არ აწყობს ოპოზიცია, დესტრუქციას აწყობს ხელისუფლება, რომელიც ამბობს, არ მაინტერესებს კანონი და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდაო, არ უსმენს ხალხს და პასუხს არ სცემს.

ჩვენ ერთად აუცილებლად აღვადგენთ სამართლიანობას ქვეყანაში და მოპარულ არჩევანს აუცილებლად დავიბრუნებთ თითოეული ჩვენგანი. მე მინდა, თომას ჯეფერსონის სიტყვები წარმოვთქვა: „როცა უსამართლობის კანონად ქცევას ცდილობენ, პროტესტი, არშეგუება, დაუმორჩილებლობა მოვალეობა ხდება“.

ეს პროტესტი ჩვენი მოვალეობაა. საქართველო იქნება დემოკრატიული ქვეყანა და ვერ გამოგვტაცებს ამას ივანიშვილი ხელიდან, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა მელიას განცხადებით, ისინი არ შეეგუებიან საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებს, რადგანაც ქართველ ხალხს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად არ აურჩევია.

მელია ამბობს, რომ კონსტიტუციის ყველა მუხლის დაცვით ბოლომდე იბრძოლებენ.

– აქ შევიკრიბეთ იმ ძალადობის გასაპროტესტებლად, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა არჩევნებზე. ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი: ან შევეგუოთ იმას, რაც ჩაიდინა ხელისუფლებამ, ან ვიბრძოლოთ გამარჯვებამდე. ხელისუფლებამ დანიშნა მესამე ტური და მას ეგონა, რომ ჩვენ ენერგიისგან დავიცლებოდით და მონაწილეობას არ და ვერ მივიღებდით მესამე ტურში.

ჩვენ არათუ ვიღებთ მონაწილეობას მესამე ტურში, არამედ აუცილებლად გავიმარჯვებთ, იცით რატომ, ხალხნო? ის, რაც მათ იკადრეს, ყველა არჩევნები, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს და ქვეყნის პირობებში ჩატარებულა, ერთად რომ შევაჯამოთ და ხარვეზები და დანაშაულები რომ ავიღოთ, ათჯერ მეტი გააკეთეს ერთ არჩევნებში.

პედაგოგებს, ბაღის თანამშრომლებს ეუბნებოდნენ, რომ თუკი არ მოვად თავდამსხმელები აღმოჩნდნენ, რადგან ჩარკვიანის მეუღლე ჯონი გიგანი წარსულში ძიუდოისტი იყო.

ამ ინციდენტის მიუხედავად, თაკო ჩარკვიანი მაინც საბრძოლო განწყობაზე დარჩა. მისი თქმით, უსამართლობასთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

– ოლიგარქმა დაგვიმტკიცა, რომ ბილბორდზე სტაფილო რომ დახატოს, სტაფილოს აარჩევინებს გაჭირვებულ ქართველს.

ვინც აიძულეს, ვინც დააშინეს, ვისაც ოჯახებში შეუცვივდნენ, მათ გამო ვდგავართ დღეს ქუჩაში.

ეს აქცია ღირსების აქციაა, რადგან მომავალ თაობას უნდა ვუთხრათ, რომ არჩევნები არის ხმა უმთავრესი პიროვნებისა. შენ თუ ხარ ინდივიდი, უნდა დარჩე შენი ხმის არჩევის უფლებით.

დღეს საქართველოში იუველირული გეგმით რუსული თანხა შემოედინება. ცოტა ხანში გაბანტავენ ქვეყანას და არანაირი აქცია ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს აღარ უშველის, რადგან საქართველოში დასვეს არალეგიტიმური რენეგატი, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე სიტყვით შვილმოკლული მამები – მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძეც გამოვიდნენ.

საუბარი განსაკუთრებით ზაზა სარალიძეს უჭირდა. მისი შვილი – 16 წლის დათუნა სარალიძე – ზუსტად ერთი წლის წინ, 2 დეკემბერს გარდაიცვალა. მოზარდის მკვლელები კი დღემდე დაუსჯელად დადიან.

– ამ დღეს, 2 დეკემბერს, ჩემი შვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამ დღეს ჩემს შვილთან ერთად ის საქართველოს ნაწილი მოკვდა, რომლებიც ჩემი შვილის მკვლელებს იცავენ. სამართალმა უნდა იზეიმოს. ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია, – აღნიშნა ზაზა სარალიძემ.

შვილის გარდაცვალების ერთი წლისთავის აღნიშვნა მალე მოუწევს მალხაზ მაჩალიკაშვილსაც. ისიც სამართალს ეძებს და ეშინია, რომ მისი შვილის მკვლელები შეიძლება დაუსჯელები დარჩნენ.

– მე იმ დღის მეშინია, როცა თემირლანის მკვლელობიდან ერთი წელი გავა. ვაითუ არ დაისაჯონ მკვლელები. მე აქ დღემდე თქვენი მხარდაჭერით მოვედი. ღმერთმა მოგვცეს იმის შნო, მართლა დავსაჯოთ ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებაში არიან სისხლით მოსულები, – განაცხადა შვილმოკლულმა მამამ.

„არჩევნების ინსტიტუტი გაუქმდა“

აქციის მიმდინარეობას ევროპიდან ადევნებდა თვალს მიხეილ სააკაშვილი. მან თავისი პოზიცია ამჯერადაც სკაიპით დააფიქსირა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არც ის აღიარებს. მისი განმარტებით, ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად გრიგოლ ვაშაძე აირჩია.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ აქციას ვერ ესწრება, ამბობს, როგორც კი თანამებრძოლები უხმობენ, დაუყოვნებლივ ჩამოვა საქართველოში.

ევროპაში გამაგრებული სააკაშვილის თქმით, ოპოზიციის სამართლიანი ბრძოლა აუცილებლად დამთავრდება გამარჯვებით, რასაც ოლიგარქის ხელისუფლების შეცვლა და ნამდვილი სახალხო დემოკრატიის დაბრუნდება მოჰყვება.

– მინდა მივესალმო ქართველი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც ვიხილეთ, რომ ჩამოყალიბდა ძალიან მაგარ პოლიტიკურ ლიდერად და დიდი პოლიტიკური ვარსკვლავი დაიბადა ისტორიული მასშტაბით.

ჩვენ ადრე ვლაპარაკობდით კატასტროფაზე და ეს კატასტროფა უკვე დადგა საქართველოში და არჩევნების ინსტიტუტი გაუქმდა. ჩვენ აღარაფერს აღარ მოვითმენთ და აღარ გადავყლაპავთ. მათ ეგონათ, რომ ხალხი არ იბრძოლებდა და დღეს დავანახეთ, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ მშვიდობიანად, დამაჯერებლად, მშვიდად, ღიმილით, თავაწეული, მაგრამ არასდროს ჩამოვუშვებთ ხელებს, არასდროს დავიხევთ უკან.

ამ ბრძოლაში მე ვარ თანასწორი თანასწორთა შორის, მე ვარ ერთ-ერთი თქვენგანი, მე არ მაქვს არანაირი პრეტენზია, მაგრამ იმ წამს, როდესაც თქვენ დაგჭირდებით და დამიძახებთ, ფიზიკურად გავჩნდები თქვენ გვერდით.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავდოთ ჩვენი აგური ჩვენს გამარჯვებაში, რადგან მე მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე შევეგუო ამ უსამართლობას და ვუყურებდე ჩემი სამშობლოს განადგურებას და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული ჩვენგანი არის ამ განწყობაზე,

საქართველოს აქვს დიდი მომავალი, რომელიც ღრმად მწამს და დღეს იბადება აი, ამ მოედანზე. ეს არის მხოლოდ ბრძოლის დასაწყისი. დიდი მადლობა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოპოზიციის ულტიმატუმი

გაერთიანებული ოპოზიცია მიზნის მისაღწევად სასამართლოსაც მი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლება წინასაარჩევნო კორიდის ეიფორიიდან უნდა გამოვიდეს“

ლევან ალაფიშვილი: „არჩევნები დასრულდა, ახლა სხვა ტექსტების დროა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს, არ ცნობს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და არ აღიარებს არჩეულ პრეზიდენტს. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– ეს ყველაფერი ოპოზიციის მხრიდან ჯერჯერობით ჯდება კანონიერებისა და დემოკრატიის ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესი კონსტიტუციის ფარგლებში უნდა წარიმართოს.

– არჩევნების შედეგებს არ ცნობს ოპოზიცია. ეს რამდენად არის ლეგიტიმური?

– საკითხის ასე დასმა არ არის სწორი. ლეგიტიმაცია ყოველთვის არჩევნების თანმხლები პროცესია. ხელისუფლებას რამდენად აქვს სამართლებრივი და პოლიტიკური ლეგიტიმაცია, ეს სხვა საკითხია. რაც შეეხება იმას, რომ ოპოზიცია არ ცნობს არჩევნების შედეგებს, ეს არის მისი პოლიტიკური დღის წესრიგი.

– მე ვიკითხე, რამდენად ჯდება დემოკრატიის ფარგლებში, როდესაც ოპოზიცია მარცხდება და გამარჯვებულს არ აღიარებს?

– დემოკრატიის განვითარების იმ ეტაპზე, რომელშიც საქართველო იმყოფება, მსგავსი რაღაცები მისაღებია, გასაგებია, მაგრამ განვითარებულ დემოკრატიაში ასეთი რამ, უბრალოდ, პოლიტიკური ნონსენსი შეიძლება იყოს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში საარჩევნო პროცესის მიმართ იმხელა ნდობაა, რომ იქ არავის თავში აზრად არ მოუვა, არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დააყენოს.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ შორს ვართ ასეთი დემოკრატიისგან. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ უახლოესი პერიოდის განმავლობაში ყველას ერთად, პირველ რიგში ხელისუფლებას, მოგვიწევს სწორედ ამ უდიდესი პრობლემის მოხსნა, რასაც საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დამკვიდრება ჰქვია.

– ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სააკაშვილს დამარცხების შემდეგ სხვა შანსი არ დარჩენოდა, გარდა თავისი ამომრჩევლის დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებისა. შეიძლება, მართლაც გასცდეს პოლიტიკური პროცესები კონსტიტუციის ჩარჩოს?

– არა, არა! ეს სრულიად დაუშვებელი და სრულიად მიუღებელია. მსჯელობაც კი ღიმილის მომგვრელია.

– რატომ?

– შეუძლებელია. ყველას, პირველ რიგში, ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ წინასაარჩევნო კორიდის ეიფორიიდან გამოვიდეს. არჩევნები დასრულდა, ახლა სხვა ტექსტების დროა. საზოგადოებას ახლა სულ სხვა მოლოდინები აქვს მათ მიმართ და ამიტომ სხვა ტექსტებს ელოდება ხალხი ახლა მათგან.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამდენად შეიძლება, კონსტიტუციის ჩარჩოს გასცდეს, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში რევოლუციური განვითარების დრო დასრულდა. რევოლუციური სცენარები წარსულს ჩაბარდა, თუკი გარე ძალებიდან არ იქნება მეცადინეობა.

– გარე ძალებში ვის გულისხმობთ?

– პირველ რიგში, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. ყველამ უნდა მოუხმოს გონებას და ჭკუით იმოქმედოს.

სამწუხაროდ, ქვეყნის გარეთ ძალიან ცუდი შეფასებები ისმის ჩვენი დემოკრატიის ხარისხის, რაც მე გულს მტკენს. როგორც ჩანს, ვერ აღმოვჩნდით მზად, რომ დემოკრატიის ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი გადაგვედგა. რას ვიზამთ. ახლა დროა, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ მაღალ დონეზე, რათა ჩვენი სახელმწიფო გავაძლიეროთ. ეს არის უმთავრესი.

არავითარი რევოლუციური სცენარის პოტენცია ქართველ საზოგადოებაში არ არის, თუ ჩვენმა ჩრდილოელმა „კეთილისმყოფელმა“ მეზობელმა რაიმე ისეთი არ ჩაიდინა აქ და სიტუაცია არ დაძაბა.

„ხელისუფლების წამმზომი ჩართულია. მას 16 დეკემბრამდე აქვს ვადა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მართავს. როგორც გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, მათი იურისტები მუშაობენ სარჩელზე, რომლის მიხედვითაც ისინი არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადებას მოითხოვენ.

– 28 ნოემბერს არჩევნები არ ჩატარებულა. ეს იყო კრიმინალური სპეცოპერაცია ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ არჩევნებს ჩატარებულად არ ვაღიარებთ და მის შედეგებს არ ვცნობთ. საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს, პრეზიდენტი ჰყავს ქურდულ ოცნებასა და ივანიშვილს. ამჟამად გაერთიანებული ოპოზიციის და ჩვენი პარტიის იურისტები ამზადებენ სარჩელს, რომ არჩევნები იქნეს ცნობილი ბათილად, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ოპოზიცია ხელისუფლებისგან ითხოვს, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად სამუშაო ჯგუფი შექმნას. ვადა ხელისუფლებას 16 დეკემბრამდე აქვს.

– 5 თვე მამაოჩვენოსავით ვიმეორებდით და ვთავაზობდით ხელისუფლებას პარტნიორობას ამ საკითხებში – კოალიციური, ეროვნული, მრავალპარტიული, პროფესიული მთავრობა, რომელსაც ქვეყნის ამოყვანა შეუძლია სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან. ოპოზიცია, როგორც ხელისუფლების ნაწილი, როგორც ეს არის ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან. კონსენსუზე დაფუძნებული არაერთპარტიული კონსტიტუცია, იმიტომ, რომ ამ კონსტიტუციით ცხოვრება არ შეიძლება, დამოუკიდებელი სასამართლო, უცხოელი მოსამართლეებით. საკონსტიტუციო სასამართლოში ადამიანის უფლებების პალატა, არბიტრაჟის მოხმობა, როდესაც ქონებრივი დავა ეხება მილიონზე მეტ ლარს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს საუბარი ბიზნესის წართმევაზე.



გენერალური პროკურორის შერჩევა ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევა სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციის მიერ. პროკურატურა უნდა დარჩეს ზედამხედველ ორგანოდ და გამოეყოს მას გამოძიება და გაფორმდეს, როგორც ამერიკული ანალოგი, ფედერალური საგამოძიებო ბიურო. პოლიტიკური პოლიციის გაუქმება, გვეყოფა პოლიტიკური პოლიცია, გესტაპო და კაგებე ამ ქვეყანაში.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვთავაზობთ, რომ ამ ქვეყანაში ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა დამთავრდეს, ვინც არ უნდა იყოს ეს ერთი პირი და როგორიც არ უნდა იყოს ეს პარტია.

ამიტომ ჩვენ მივდივართ პოლიტიკურ პროცესში თქვენთან ერთად, არ გავჩერდებით, სანამ არ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს და სულ უფრო მეტი პარტია შემოუერთდება ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს. რადგანაც ამ მოპარულმა არჩევნებმა გვაჩვენა, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური სიტუაცია და მოქალაქეების განწყობა მთლიანად შეიცვალა და „ქართულ ოცნებას“ აღარ აქვს პოლიტიკური მანდატი და ნდობა სახელმწიფოს მართვისთვის, ჩვენ ვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ოპოზიცია ითხოვს ისეთ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც მთლიანად შეცვლის კორუმპირებულ საარჩევნო ადმინისტრაციას.

– ეს კომისიები უნდა დაკომპლექტდეს სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციური პარტიებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. უნდა გაუქმდეს საოლქო კომისიები. საჯარო მოხელეებს მკაცრად უნდა აეკრძალოთ კამპანიაში მონაწილეობა, განსაკუთრებით მინისტრებსა და მინისტრების მოადგილეებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ, შექმენით სამუშაო ჯგუფი, თუ გინდათ, 5 ადამიანის შემადგენლობით, თუ ამდენ კვალიფიციურ ადამიანს იპოვით, ჩვენც ზუსტად ამავე რაოდენობით შევქმნით ჩვენს დელეგაციას და სამოქალაქო საზოგადოების დაკვირვების ქვეშ, ცივილიზებულად, სამართლებრივად დავსხდეთ და ერთად გამოვიდეთ ამ პოლიტიკური კრიზისიდან, ვადას გაძლევთ 16 დეკემბრამდე, – აღნიშნა ორატორმა.

ოპოზიცია მოქმედებას კანონის ფარგლებში აპირებს.

– არც კონსტიტუციის ფარგლებიდან გავალთ, არც სამართლის ფარგლებიდან, არც კანონს დავარღვევთ და არც მუშტი-კრივში ჩავებმებით, იმდენი განათლება და გამოცდილება გვაქვს, რომ სამართლებრივად დაგამარცხოთ.

ჩვენი გაბრაზება გამოიხატება იმაში, რომ პროტესტი იქნება უწყვეტი, სანამ არ მივაღწევთ იმას, რომ ქართველი ხალხის ხმა იყოს გაგონებული, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერ გიორგი ვაშაძის თქმით, ხელისუფლებისთვის წამმზომი უკვე ჩართულია.

– როგორც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ძალა, დღეს კონკრეტული მოთხოვნები გავაჟღერეთ და მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის. სუსტი ადამიანები დესტაბილიზაციით აშინებენ. აი, მშვიდობა და ძალა. მივმართავთ ხელისუფლებას – წამმზომი ჩართულია. 16 დეკემბრამდე აქვს ხელისუფლებას ვადა. ველოდებით მათ პასუხს. ერთხელ კიდევ ვაჩვენოთ სახელმწიფოებრივი მიდგომა და შევიკრიბოთ 16 დეკემბერს, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ნიკა რურუა: „97.000 გაბათილებული ბიულეტენი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს“

რუსთაველის გამზირზე გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციაზე შეკრებილ საზოგადოებას ნიკა რურუამ მიმართა. მისი თქმით, არჩევნების დღეს ადგილი ჰქონდა უპრეცედენტო დაშინებას, ზეწოლას, თუმცა მილიონობით ადამიანი მივიდა არჩევნებზე და დააფიქსირა საკუთარი არჩევანი.

– მინდა მივმართო „ოცნების“ წარმომადგენლებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან დროებით იმისთვის, რომ ხალხის პრობლემებზე იზრუნონ, მაგრამ მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ მათ ეს არ შეუძლიათ, ექვსი წელი ვერაფერი გააკეთეს ტყუილის, სიძულვილის თესვის გარდა. და ეს სიძულვილია, რომელიც მათვე წალეკავს, – განაცხადა ნიკა რურუამ.

ნიუპოსტი

გია ვოლსკი: „არ მეგულება ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს ნაციონალების შემოთავაზებულ დაძაბულობას“

– არ მეგულება ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს დაძაბულობის იმ ფორმასა და იმ დონეს, რასაც ნაციონალური მოძრაობა გვთავაზობს, – ასე ეხმაურება პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი გაერთიანებული ოპოზიციის გუშინდელ, 2 დეკემბრის აქციას.

ვოლსკის თქმით, ოპოზიციის შეთავაზება მოლაპარაკებების შესახებ არ გულისხმობს მოლაპარაკებას სახელმწიფოს ხვალინდელ დღეზე.

– ისინი გულისხმობენ მოლაპარაკებას ვაშაძის გაპრეზიდენტებისა და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე – იმაზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს მილიონ 150 ათასი ადამიანი, რომელმაც სხვა არჩევანი გააკეთა. მთელი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ როგორმე 740.000 ადამიანი, მათი მხარდამჭერები შეიყვანონ შეცდომაში – თითქოს რაღაც ლეგიტიმური გზით მიდიან. ოპოზიციაში იქნება პარტიები, იქნება ხალხი, ვისაც სხვა მოსაზრება აქვს, მაგრამ არ მგონია, იყოს ხალხი, ვისაც ის სისხლისღვრა უნდა, რომელსაც სააკაშვილი გვთავაზობს.

ჩვენ კარგად დავინახეთ სერიოზული სხვაობა გარკვეულ პოზიციებს შორის: ერთნი საუბრობენ ლეგიტიმურ, კანონიერ გზაზე, მეორენი დაძაბულობაზე, რასაც სააკაშვილი მოუწოდებს. არ მეგულება ადამიანი, რომელიც მხარს უჭერდეს დაძაბულობის იმ ფორმას და იმ დონეს, რასაც ნაციონალური მოძრაობა გვთავაზობს, მათ შორის, თუნდაც ძალიან მოკრძალებულად, მაგრამ ვაშაძეც ამ პოზიციას იზიარებს, – განუცხადა ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ.

ინტერპრესნიუსი

„რევოლუცია არ იქნება!“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი პოლიტიკური ძალა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ 2020 წლის არჩევნებამდე აუცილებლად გასასწორებელია საარჩევნო სისტემა, შესაქმნელია ახალი პოლიტიკური ძალა და დასაწყებია ქვეყნის დენაციფიკაციის პროცესი, ისე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვება.

– ბატონო დიმიტრი, როგორ აფასებთ ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს?

– ეს იყო ეპოქალური მნიშვნელობის არჩევნები. პირდაპირი წესით საპრეზიდენტო არჩევნები მეტად აღარ ჩატარდება, რადგან საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადავედით. მე კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი და ახლაც არ ვეთანხმები მომავალში პრეზიდენტის სხვაგვარი წესით არჩევას, მაგრამ ახლანდელი არჩევნები თავისი მნიშვნელობით ძალიან სერიოზული პოლიტიკური აქტი იყო.

ორ დაპირისპირებულ და თითქმის თანაბარ ბანაკებად გაყოფილ ძალებს შორის წარმოიშვა მესამე და ძალიან სერიოზული ძალა, სახელწოდებით „სახალხო ინტერესი“. ამ ძალას 54% აქვს, ღრმა ძილშია ჩაძირული და არც ერთ პოლიტიკურ აქტორს პატივს არ სცემს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– 54% თუ 44% დარჩა სახლში და არჩევნებზე არ მივიდა.

– არჩევნების პირველ ტურში 54%-მა მონაწილეობა არ მიიღო და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგა. მხარეების ელექტორატი დაახლოებით თანაბარი იყო. არჩევნების მიღმა დარჩენილი ელექტორატი გაცილებით მეტი იყო. ბუნებრივია, არჩევნების ბედი უნდა გადაეწყვიტა იმ ამომრჩეველს, რომელსაც არც „ოცნებისა“ და არც ნაცმოძრაობის მიმართ სიმპათია არ ჰქონდა.

საზოგადოებამ სწორედ აქ გამოავლინა სიბრძნე, როდესაც ის სახლში დარჩენილი 54% ამოქმედდა, ამოძრავდა და მხარი დაუჭირა ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ფორმალურად „ოცნების“ მხარდაჭერილი იყო, სინამდვილეში კი დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ. 54%-იანმა ძალამ სალომე გააფორმა, როგორც სახალხო კანდიდატი, ფაქტობრივად, „ქართულ ოცნებას“ ხელიდან გამოგლიჯა.

– ანუ სალომე ზურაბიშვილს სახალხო მხარდაჭერამ გაამარჯვებინა?

– დიახ, სალომეს მიმართ სახალხო მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, „ოცნების“ მხარდაჭერის იმედად ვეღარ დარჩებოდა. ქალბატონი სალომე წააგებდა არჩევნებს, გამომდინარე იქიდან, რომ ნაცმოძრაობა, ევროპული ნაცმოძრაობა და სხვა ლიბერალური ძალების ჯამური მხარდაჭერა ბევრად აღემატებოდა „ქართული ოცნებ-

ბის“ მხარდაჭერას.

ამიტომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არ უნდა განვიხილოთ „ოცნების“ ორგანულ ნაწილად. ამავე დროს, 100%-ით ვეღარ იქნება დამოკიდებული „ქართული ოცნების“ პოლიტიკაზე.

– რას გულისხმობთ?

– მას ექნება თავისი დამოუკიდებელი გეზი, მას ექნება დამოუკიდებელი ხედვა, მას ექნება თავისი დამოუკიდებელი დიპლომატიური პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, შეთანხმებული უნდა იყოს სახელისუფლებო პროცესთან.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ჩვენ შეიძლება ძალიან საინტერესო ოპონირების მომსწრენი გავხდეთ ქალბატონ სალომესა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას შორის, მაგრამ, იმისაგან განსხვავებული, ვიდრე ეს იყო მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს ან მარგველაშვილსა და კვირიკაშვილს, ან კიდევ მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– სალომე ზურაბიშვილი არის დიპლომატი, ამავე დროს, პოლიტიკოსი. მას აქვს შემდგომი მოქმედების ჩამოყალიბებული, მოწესრიგებული გეგმა. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სალომე 16 დეკემბრის შემდეგ ძალიან ინტენსიურად შეუდგება თავისი უფლებამოსილების განხორციელებას და, განსხვავებით მარგველაშვილსა და მთავრობას შორის არსებული კინკლაობისა, ჩვენ ვიხილავთ კონსტრუქციული ოპონირების რეჟიმს ხელისუფლებასთან.

– სალომე ზურაბიშვილს რატომ დაუჭირეს მხარი, გასაგებია. „ოცნებასთან“ რა პრეტენზიები ჰქონდა საზოგადოებას, ესეც გასაგებია. 700 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა რატომ დაუჭირა მხარი ნაცმოძრაობას, როცა მეორე ტურის წინ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ ნახა ნაცმოძრაობის ხელისუფლების დანაშაულების ქრონიკა?

– ამ ფაქტს რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი – ფილმი „დაკარგული სამოთხე“ რომ არის, რაც გინახავს, ვეღარ ნახავო, დაახლოებით ეს სიუჟეტი გათამაშდა სააკაშვილის გარემოცვაში. მათგან ძალიან ბევრი ადამიანი იყო მთავრობაში, საჯარო სექტორში, პარლამენტში, სასამართლო ხელისუფლებაში მოკალათებული. ისინი ძალიან განიცდიან ძალაუფლების დაკარგვას. მათ აქვთ ქვეცნობიერი ლტოლვა დაკარგულის დაბრუნებისა.

მეორე მიზეზია დაუსჯელობის სინდრომი. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. ეს სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ძალიან კარგად იცის. ასევე ძალიან კარგად იციან, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა, მით უმეტეს, ისეთი ხელისუფლების პირობებში, როგორიც არის „ქართული ოცნება“.

მესამე ფაქტორია ის, რომ მათ მოახდინეს ბოროტი ძალების კონსოლიდაცია, ერთი მხრივ, იმისთვის, რომ შეექმნათ მუხტი, მეორე მხრივ, მოეხდინათ არსებულ ხელისუფლებაზე განაწყენებული რიგითი ადამიანების შემოკრება. ეს პოლიტიკური ტექნოლოგიის გამოყენებით მათ ადვილად განახორციელეს მათი მომხრე მედიასაშუალებების დახმარებით, რომელთა რიცხვშია ოპერატიულ-ტექნიკური დანაყოფი „რუსთავი-2“-ის სახით.

ამით შეძლეს „ოცნებაზე“ განაწყენებული ადამიანების კონსოლიდაცია. ეს ობიექტური მდგენელი საკმარისი აღმოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის გარშემო 700 ათასი ამომრჩეველი გაერთიანებულიყო. ეს 700 ათასი არ ნიშნავს ნაცმოძრაობის მომხრეს. ნაცმოძრაობის ანგარიშზე 700 ათასი ამომრჩეველი ნიშნავს ბიძინა ივანიშვილზე განაწყენებას, რასაც თვითონ ბიძინა ივანიშვილი ძალიან კარგად ხვდება და პირობას იძლევა, რომ 1 წელიწადში გამოასწორებს იმ მცდარ პოლიტიკას, რომელმაც სახელისუფლებო ვერტიკალი კინაღამ ჩამოშალა.

– თქვენ თქვით, ბოროტი ძალების მობილიზაცია მოახდინესო. ცოტა ბევრი ხომ არ გამოდის? შეიძლება, ბოროტი ძალაა, მაგრამ 700 ათასი, განაწყენებულიც რომ იყოს, ძალიან ბევრი ხმა მიიღეს და ეს დაფიქრებას საჭიროებს.

– ბოროტ ძალებში ხალხი არ მიგულისხმია. ბოროტ ძალებში ვიგულისხმე ის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომლითაც იკვებება ნაცმოძრაობა, ვითომ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი სუბიექტი. სინამდვილეში ბოროტი ძალაც თვითონ ნაცმოძრაობაა და კონგლომერატიც.

ერთკაციანი პარტიები ანტურაჟისთვის გარშემო შემოიკრიბეს და ხალხს კოალიციური მთავრობის შექმნას ჰპირდებოდნენ. რა, იმ ერთკაციანი პარტიებით უნდათ შეექმნათ კოალიციური მთავრობა? ერთკაციანი პარტიები ქმნიან მრავალპარტიულ კოალიციურ სისტემას პარლამენტში? რასაც ისინი აკეთებენ, თვალში ნაცრის შეყრაა. ეს ხომ ძალიან გასაგები და მისახვედრია.

– სალომე ზურაბიშვილი იღებს მილოცვებს, ინტერვიუებს აძლევს მსოფლიოს სხვადასხვა მედიასაშუალებას. ამ დროს ნაციონალები ვერ ეგუებიან დამარცხებას, აცხადებენ, რომ მათ გაიმარჯვეს. უნდა ველოდოთ რევოლუციას?

– არავითარი რევოლუცია ქვეყანაში არ მოხდება, ხალხი გაწონასწორდა, დამშვიდდა და დაწყნარდა. მეორე ტურის შემდეგ მოსალოდნელი იყო გარკვეული დესტაბილიზაცია, გარკვეული ძალებისა და პირების (რომელთა ავანგარდში ნაცმოძრაობა გახლდათ) მიერ დააანოსებული, მაგრამ ხალხმა ბრძნულად, სიმშვიდითა და გაწონასწორებულად მიიღო შედეგები. დააკვირდით, თბილისის ქუჩებში არავის აქვს რევოლუციური განწყობა. ახლა ყველა იმის მოლოდინშია, რომ წელიწადი და 10 თვე მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და ქვეყანაში დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა დაიწყონ მუშაობა. ახლა მთავარია საარჩევნო სისტემის გასწორება, რეალური პოლიტიკური სპექტრის ფორმირება ეროვნული ინტერესის გათვალისწინებით.

– ნაციონალები ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ.

– არსებული საარჩევნო სისტემით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არავითარი შედეგი არ ექნება. კონსენსუსის შედეგად სანამ საარჩევნო სისტემა არ გასწორდება, სანამ რეალური, ახალი პოლიტიკური ძალა არ ჩამოყალიბდება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არავითარი აზრი არ აქვს. ქვეყნის მთავარი ამოცანაა დენაციფიკაცია. დამნაშავე პირებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ. არჩევნებამდე ეს სამი პირობა უნდა შესრულდეს – საარჩევნო სისტემის გასწორება, ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება და დენაციფიკაციის პროცესის დაწყება.

– ეს აუცილებელი პროცესია?

– მე ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მე-7 მოწვევის პარლამენტში და არაერთი დასკვნა მაქვს მომზადებული, რომ ნაცმოძრაობა არის დანაშაულებრივი რეჟიმი. დანაშაულებრივი რეჟიმის შეფასების ყველა კრიტერიუმი წერია პარტიების შესახებ კანონში, რომელიც შესაბამის ინსტიტუციას აძლევს უფლებას, დაიწყოს დანაშაულებრივი ტიპის ორგანიზაციის დაშლის სამართლებრივი პროცედურები. ასეთი პროცედურები გაწერილია კანონში და, კარგი იქნება, თუ ჩვენ შევძლებთ ნაცმოძრაობის დენაციფიკაციის პროცესის დროულ დაწყებას. პარლამენტში შეტანილია რეზოლუცია. ახლა საჭიროა ერთობლივი მოქმედება და დენაციფიკაციის პროცესის ბოლომდე მიყვანა.

რა არის და რა უნდა ვიცოდეთ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შესახებ?

თანამედროვე ეპოქაში მოქალაქეები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების, მისი არსისა და სამართლებრივი ბუნების შესახებ.

როგორც საადვოკატო ბიურო OK&CG-ში აცხადებენ, ხშირად არის შემთხვევა, როდესაც მოქალაქეები შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობისთვის დებენ ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ დასახული მიზნის მიღწევას და მჩუქებლისათვის ნაკლებად ქმნის სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

OK&CG-ს იურისტების განმარტებით, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მარჩენალი მოვალეა სამისდღეშიო სარჩო სარჩენს მთელი სიცოცხლის მანძილზე (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს) გადაუხადოს. სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა და გადახდის ვადები კი მხარეთა შეთანხმებით დგინდება.

– სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ძირითადად, იმ შემთხვევაში იდება, როდესაც სარჩენი პირი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებს დახმარებას; არის შრომისუუნარო ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოვლას საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში იგი აფორმებს რჩენის ხელშეკრულებას მარჩენალ პირთან, რომელსაც რჩენის მოვალეობის სანაცვლოდ გადასცემს თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას. აღსანიშნავია, რომ მარჩენალი ნებისმიერი პირი შეიძლება იყოს და ნათესაური კავშირი აუცილებელი არ არის.

მეორე მხრივ, მარჩენალი ვალდებულია, ამ ქონების სანაცვლოდ სარჩენ პირს სარჩო უხადოს, რომელიც შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით. სარჩოს ფულადი სახით განსაზღვრისას მხარეები თანხმდებიან თანხის გადახდის ვადებსა და მის ოდენობაზე. შესაძლებელია განისაზღვროს თანხის გადახდა ყოველთვიურად. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება ასევე დადგინდეს ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

ამ შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ხელშეკრულებაში, – აცხადებენ იურისტები.

აღსანიშნავია, რომ სარჩენი პირის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არ აქვს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს. ამასთან, დაუშვებელია მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების ამ ქონებაზე მიქცევა.

ამასთან, როგორც იურისტები განმარტავენ, იმ შემთხვევაში, თუ მარჩენალი გარდაიცვლება სარჩენი პირის რჩენის ვალდებულება მის იმ მემკვიდრეებზე გადადის, რომლებმაც გადაცემული ქონება მიიღეს. გარდაცვლილი მარჩენალი პირის მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ქონება სარჩენ პირს უბრუნდება და ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

– სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში კი ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების წარმოშობის, ცვლილების და შეწყვეტის რეგისტრაციისთვის, დაინტერესებულმა პირმა (მარჩენალმა ან სარჩენმა) უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს, ნოტარიუსს ან სხვა ავტორიზებულ პირს, – აღნიშნავენ იურისტები.

ოქტომბერში ვადაგადაცილებული სესხები 28.4 მლნ ლარით გაიზარდა

ოქტომბერში ვადაგადაცილებული სესხები 28.4 მლნ ლარით გაიზარდა და 426 მლნ ლარს გაუტოლდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.6 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 50.5 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ამასთან, სებ-ის ცნობით, საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 56.4 პროცენტს გაუტოლდა.

პარიზში არეულობის დროს საქართველოს საელჩოს ავტომობილი დაიწვა

პარიზში არეულობის დროს საქართველო საელჩოს კუთვნილი ავტომობილი დაიწვა. ამის შესახებ ინფორმაციას „პირველ არხი“ ავრცელებს.

როგორც „პირველი არხი“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით წერს, საპროტესტო აქციის დროს არეულობა იმ ქუჩაზეც დაიწყო, სადაც საქართველოს საელჩოს შენობა მდებარეობს.

საფრანგეთში საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთა რიცხვი უკვე 400-ს აღწევს. პარიზში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები. მეტროსადგურებთან პოლიცია პატრულირებს. საფრანგეთის ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასაც არ გამორიცხავს.

საწვავზე ფასების ზრდის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციებზე მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკებები პარიზში გუშინ გვიან ღამემდე გაგრძელდა. დაშავდა სულ მცირე 133 ადამიანი. არეულობის მონაწილეებმა დააზიანეს ტრიუმფალური თაღიც. მომიტინგეებმა დაწვეს რამდენიმე ავტომობილი.

„სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციის შემდეგ სხვანაირ ხასიათს გამოავლენს“

ნიკა ჩიტაძე: „ეს ქალი არაპროგნოზირებადია“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. 28 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყნის პრეზიდენტი ქალი იქნება. ოპოზიციის ნაწილი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, თუმცა ეს ფაქტს არ ცვლის.

სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაში „ქართულ ოცნებასა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილს ლომის წვლილი აქვს შეტანილი და სავარაუდოა, რომ მმართველ გუნდს რიგ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიში გაუწიოს არჩეულმა პრეზიდენტმა ან სულაც მისი ნების გამომხატველი იყოს, ხოლო მეორე მხრივ ცნობილია ისიც, რომ სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ ხისტ და პრინციპულ პოლიტიკოსად ითვლება.

როგორი პრეზიდენტი შესაძლოა იყოს სალომე ზურაბიშვილი? ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

ნიკა ჩიტაძე:

– ორი ვარიანტი არსებობს, ერთი მხრივ, შესაძლებელია, ქალბატონმა სალომემ გამოავლინოს თავისი ხასიათი. შესაძლებელია, ეს იყო მისი გათვლა, რომ „ქართული ოცნება“ გამოეყენებინა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, რადგან სალომე ზურაბიშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და ისარგებლა ამით, თუნდაც ფინანსური რესურსით, როცა მან მთლიანობაში შემოწირულობათა 75% მიიღო, ხოლო როდესაც ის გახდებოდა პრეზიდენტი, ის გაატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას.

მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ ქალბატონი სალომე ხასიათდება დაუმორჩილებლობით. ინაუგურაციის შემდეგ, როდესაც ის გაიაღდებს პრეზიდენტის პოსტს, შესაძლოა, თავისი ხასიათი სხვანაირად გამოავლინოს, ვინაიდან არსებობს მისი არაპროგნოზირებადობის პრაქტიკა.

როცა ქალბატონი სალომე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დაინიშნა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის რეკომენდაციით, მაშინ მას მხარს უჭერდა მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგრამ რამდენჯერმე მან დაუმორჩილებლობა გამოიჩინა როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე პრემიერ ზურაბ ჟვანიას მიმართ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხელისუფლება უხერხულ ვითარებაში ჩააყენა.

– რა შემთხვევები იყო?

– მაგალითად, სტამბოლში ვიზიტის დროს თქვა, ვიმყოფები ისტორიულ კონსტანტინოპოლში, რამაც თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია. იყო შემთხვევები, როდესაც თავის კადრებს ნიშნავდა სამინისტროში, სადაც ბევრი მაინცდამაინც კომპეტენტურობით არ გამოირჩეოდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, რამაც დაძაბა ურთიერთობა პრეზიდენტსა და მას შორის. შემდეგ მოხდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება და, შესაძლოა, ამას არ მოელოდა, რადგან საფრანგეთის პრეზიდენტის მფარველობით სარგებლობდა.

– მაშინ ისიც ცნობილი იყო, რომ მწვავე დაპირისპირება ჰქონდა ნინო ბურჯანაძესთან.

– ბურჯანაძესთანაც ჰქონდა და არა მარტო მასთან. ხშირად იჩენდა დაუმორჩილებლობას. როდესაც თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მაშინ დააფუძნა პარტია, რომელმაც თვითმმართველობის არჩევნების დროს მხოლოდ 3% მიიღო.

მისი არაპროგნოზირებადობის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. გახსოვთ, 2009 წელს მიტინგები რომ იყო და კარვები იყო გაშლილი პარლამენტთან. როდესაც საკაშვილის თანამდებობიდან გადაყენება ვერ მოხერხდა, 2 თვის შემდეგ საკაშვილმა თქვა, ეს ხალხი რომ მაკრიტიკებს, მოვიდნენ მთავრობაში და მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას დავუთმობო. მეორე დღესვე ზურაბიშვილი გამოვიდა და თქვა, მზად ვარ, დავიკავო შს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაო, ანუ მეორე დღესვე შესთავაზა საკაშვილს გარიგება.

დღეს ერთმანეთს ემთხვევა ივანიშვილისა და ზურაბიშვილის ინტერესები. შესაძლოა, ივანიშვილს უცხოელმა პარტნიორებმა შესთავაზეს, ევროპელია, დამოუკიდებელ კანდიდატს მისცეთ შესაძლებლობაო და შესაძლოა, ივანიშვილის აზრით, „ქართული ოცნების“ მიმართ ყველაზე ლოიალური სალომე ზურაბიშვილი იყო.

ზურაბიშვილისთვისაც მომგებიანია ეს პოზიცია, ხოლო როცა გაინაღდებს პოსტს, შეიძლება დაუმორჩილებლობა გამოიჩინოს და თქვას, ხალხის მიერ ვარ არჩეული, ქვეყნის მეთაური, მთავარსარდალი ვარო და ა.შ. შესაძლოა, მარგველაშვილის გზით წავიდეს, როდესაც ის თავიდან ლოიალურად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ შემდეგ გამოიჩინა დაუმორჩილებლობა რიგ საკითხებში.

არის მეორე ვარიანტიც, რომ მან კვლავ გააგრძელოს „ოცნების“ მიმართ ლოიალურობა და ჩათვალოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში დიდი ძალაუფლება არ გააჩნია და მმართველი ძალის მიმართ დავალებულია.

– ახსენეთ საკადრო პოლიტიკა ზურაბიშვილის მოქმედებებში. მან უკვე თქვა, რომ ადმინისტრაციის უფროსად თავის ყოფილ მოადგილე ლაშა ჟვანიას დანიშნავს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ უკვე მიდის ამ მიმართულებით?

– შესაძლებელია. კი, ჟვანია იყო მისი მოადგილე, მაგრამ ზურაბიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც დარჩა ჟვანია საკაშვილის გუნდში. შემდეგ იყო ისრაელში საქართველოს ელჩი, ბოლოს კი ეკონომიკის მინისტრი გახდა. გვახსოვს, რომ ამ გადაწყვეტილების გამო კახა ბენდუქიძემ საკაშვილი გააკრიტიკა.

დღეს ლაშა ჟვანია პატრიარქთან დაახლოებული პირია და შესაძლებელია, ამ ფაქტორმაც იმოქმედა. გაიმართა სალომე ზურაბიშვილსა და პატრიარქს შორის შეხვედრა, მათ შორის არჩევნების წინა დღეს, როდესაც პატრიარქმა დალოცა ის. ესეც კითხვებს ბადებს, როცა ილია მეორემ პირდაპირ მხარდაჭერა გამოავლინა ზურაბიშვილის მიმართ. არ არის გამორიცხული, რომ პატრიარქის ფაქტორის გამო გადაწყდა ეს.

– კარასინმა არ გამორიცხა საქართველოსთან პირდაპირი დიალოგი, შემდეგ აბაშიძემაც არ გამორიცხა ეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის გამოც შეირჩა პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბიშვილი. „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში კი თქვა, ამის დრო არ არისო, მაგრამ რაღაც ძვრებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

– არა მგონია, რაღაც ძვრები იყოს მოსალოდნელი, რადგან არ არსებობს შეხების წერტილები საქართველოსა და რუსეთს შორის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გარდა. 2017 წლის მონაცემებით ამ მიმართულებით სწორედ რუსეთია საქართველოს უპირველესი პარტნიორი და ეკონომიკური ბრუნვის მაჩვენებელმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სხვა მიმართულებით არ არსებობს შეხების წერტილები.

– კი, რეალობა ასეთია, მაგრამ ვგულისხმობ იმას, მცდელობა ხომ არ იქნება?

– მე პირადად მგონია, რომ არა. მე მგონი, „ქართული ოცნება“ რუსეთთან დიალოგზე იმდენად არ ფიქრობდა, რამდენადაც იმაზე, რომ ოპოზიციური კანდიდატი არ გამხდარიყო პრეზიდენტი.

– მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსეთისთვის ზურაბიშვილი ყველაზე მისაღები კანდიდატი იქნებოდა, თუნდაც იმ განცხადებების გამო, რომლებიც მისგან გვესმოდა?

– კი, შესაძლოა, რუსეთისთვის მისაღები ყოფილიყო, რა განცხადებასაც ის აკეთებდა ომის დაწყებასთან დაკავშირებით და ნაცმოძრაობის კანდიდატზე მეტად მისაღებიც იქნებოდა. თუმცა, მარია ზახაროვა აცხადებს, რომ ზურაბიშვილიც არ არის მათთვის მისაღები, რადგან არც ის არის პრორუსი, მაგრამ შეიძლება შენი შეცდომების გამო ქართული სახელმწიფო დაასუსტო და რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი.

– ამ მხრივაც ხომ არ არის საფრთხე, რომ ქართული სახელმწიფო დააზიანოს?

– შესაძლებელია, სახელმწიფოს ინტერესები დაზიანდეს. „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთთან მიმართებით გაირთულა საქმე.

მაგალითად, როცა ჰააგის სასამართლოს ფარგლებში განიხილება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, რუსეთი გამოიყენებს კოზირებს, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი და ახლანდელი პრეზიდენტი აცხადებდა, რომ საქართველომ დაიწყო ომი. მაგრამ არა მარტო ზურაბიშვილის განცხადებებს მოიშველიებს, არამედ დაეყრდნობა ქართველი ხალხის ნებას. იტყვის, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა ეთანხმება ზურაბიშვილს, რომ საქართველომ დაიწყო ომი. მიდი და ამტკიცე, რომ მოსახლეობას კარტოფილი დაურიგეს და 600.000 ადამიანს დაჰპირდნენ, რომ ვალებს ჩამოაწერდნენ.

აქედან გამომდინარე, რუსეთი იტყვის, რომ საქართველოს არ გააჩნია მორალური უფლება, რაღაც გზით იურისდიქცია გაავრცელოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონზე, ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობამ თქვა, რომ სერბეთს არ გააჩნდა მორალური უფლება, გაევრცელებინა იურისდიქცია კოსოვოზე.

– შესაძლოა, სერბეთისა და კოსოვოს ურთიერთობის მსგავსად წარიმართოს ჩვენთან ვითარება?

– ღმერთმა დაიფაროს საქართველო ამისგან. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ქვეყნები და აშშ არ ცნობენ აფხაზეთისა და ე.წ. ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობას, მაგრამ, რაც შეეხება მესამე სამყაროს ქვეყნებს, ნიკარაგუის, სირიისა და ვენესუელის მსგავსად, შესაძლოა ცნონ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. ეს რისკი არსებობს, რადგან რუსეთს ექნება

დამატებითი არგუმენტები. მოგეხსენებათ, რუსებს ძლიერი დიპლომატები ჰყავთ.

რა თქმა უნდა, კოსოვოს სცენარის მსგავსად არ წარიმართება ვითარება. კოსოვო 100-ზე მეტმა სახელმწიფომ ცნო. რუსეთი ეცდება ამ ვითარების გამოყენებას.

– ხომ არ ექნება საქართველოს კომფორტი იმის გამო, რომ გამოცდილი პოლიტიკოსი ეყოლება პრეზიდენტად, ვთქვათ, პარტნიორებთან პირდაპირი დიალოგის წარმოების მხრივ?

– შესაძლებელია, დიალოგი აწარმოოს, მაგრამ ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი ინტერესი. არა მგონია, ზურაბიშვილის ფაქტორის გამო საფრანგეთმა ან გერმანიამ პოზიცია შეიცვალოს და განაცხადოს, მივანიჭოთ საქართველოს ნატოს სამოქმედო გეგმა მაპ-ი და შევუწყოთ ხელი საქართველოს ნატოში ინტეგრაციასო. კი, დიალოგს ალბათ აწარმოებს, მაგრამ დიალოგს დღევანდელი და წინა ხელისუფლებაც ხომ აწარმოებდა.

– „ოცნების“ გუნდის რეალობაში ასეთი გამოცდილების მქონე დიპლომატების ნაკლებობაა, ბოლო წლებში განსაკუთრებით.

– დიახ, მაგრამ დიალოგს აწარმოებდნენ, მაგალითად, პრემიერ კვირიკაშვილის პირობებში, რომელიც უშუალოდ შეხვდა ტრამპს. საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ოლანდი და გერმანიის კანცლერი იყვნენ ჩამოსული. დიალოგის პროცესში გადამწყვეტ როლს პრემიერი თამაშობდა და არა მარგველაშვილი, მაგრამ პრემიერი ხომ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

თუ სალომე ზურაბიშვილის განცხადება რამეს შემატებს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში, მივესალმები. ვეთანხმები მის განცხადებებს, რომლებიც „ბი-ბი-სისთან“ გააკეთა, რომ როდესაც რუსეთი ადამიანებს იტაცებს, მასთან დიალოგს აზრი არ აქვს.

ის, რომ მაპ-ის ვერმიღება ხელისუფლებას დავაბრალო, ასე არაა. მე მაქვს კრიტიკული შენიშვნები ჩვენი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებაზე არ იყო დამოკიდებული. მე არ ვუჭერ მხარს სალომე ზურაბიშვილს, მაგრამ, თუ დიალოგის პროცესში რაიმე წარმატებას მიაღწევს ჩვენს ევროატლანტიკური სტრუქტურების ინტეგრაციის გზაზე, ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც ამ ნაბიჯებს შეაქებს.

იმას, რაც მან „ბი-ბი-სისთან“ თქვა, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები.

ექსპერტები საქართველოში ქართველი პაშინიანის გამოჩენას ვარაუდობენ

მარიამ მჭედლიშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოაცხადა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებს არ აპირებს, კომენტატორების უმრავლესობა შეთანხმდა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მკვეთრი ცვლილებები არ იქნება.

ამასთან, გამოითქმის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ყოფილი ფრანგი დიპლომატის, ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამო შექმნილი კრიზისის მოგვარებაში მთავარი როლი საფრანგეთმა შეასრულა. დღევანდელ ვითარებაში გარდატეხის შეტანა შეუძლია საფრანგეთის ყოფილ მოქალაქესა და ყოფილ ფრანგ დიპლომატ სალომე ზურაბიშვილს.

საუბარია იმაზე, რომ აშშ ცდილობს, ჩართოს საქართველო ირანის საწინააღმდეგო სანქციებში. ევროპის სახელმწიფოებს, მათ შორის, საფრანგეთს, ასევე რუსეთს, ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია უკავიათ. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სალომე ზურაბიშვილის მოსაზრება ამ თემაზე დაემთხვევა ევროპის მიდგომებს, ხოლო ვაშინგტონის გეგმები სამხრეთ კავკასიაში ჩაიშლება.

ვაშინგტონში ამაზე ღიად არ ლაპარაკობენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სალომე ზურაბიშვილს გამარჯვება ოფიციალურად მიულოცა. სახელმწიფო დეპარტამენტმა ასევე მიუთითა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მომხდარ დარღვევებზე, კერძოდ, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებაზე.

– ეს ქმედებები არ შეესაბამება საქართველოს მისწრაფებას სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების თაობაზე. დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებები, – აღნიშნავს სახელმწიფო დეპარტამენტი.

ვაშინგტონი ასევე აცხადებს, რომ აგრძელებს საქართველოს განვითარებისა და დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერას.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შექმნილ ვითარებაში, როცა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველმა მკაფიო უარი უთხრა მმართველ „ქართულ ოცნებას“ და ქვეყნის ფაქტობრივ მმართველ ბიძინა ივანიშვილს, ხოლო მეორე ტურში გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება საკაშვილისა და მის მიერ მართული ნაციონალური მოძრაობის მიმართ, იქმნება სივრცე სხვა პოლიტიკური ძალებისათვის. შესაძლოა, გააქტიურება და გაძლიერება მოახერხოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ. არ არის გამორიცხული, რომ ნიკოლ პაშინიანის მსგავსი ლიდერი საქართველოშიც გამოჩნდეს.

ექსპერტები არ აზუსტებენ, იქნება თუ არა საქართველოში სომხეთის მსგავსი ხავერდოვანი რევოლუცია. ყოველ შემთხვევაში, ისინი საუბრობენ ახალ ლიდერებზე და ნაცმოძრაობის გაძლიერებას არ პროგნოზირებენ.

სალომე ზურაბიშვილის როლს ანალიტიკოსები საკაშვილის „რევოლუციონერებისაგან“ საქართველოს ხელმძღვანელობის გაწმენდაშიც ხედავენ. თავად სალომე ზურაბიშვილს ამგვარი დაპირება არ გაუცია.

საპენსიო შენატანის აღმინისტრირების ელექტრონული სისტემა სატესტო რეჟიმში 3 დეკემბრიდან ამოქმედდება

3 დეკემბერს საპენსიო რეფორმის საიტი სატესტო რეჟიმში ამოქმედდება, სადაც მოსახლეობას საკუთარი საპენსიო დანაზოგის ხილვა შეეძლება.

„ჩვენ საიტს ერთი თვის განმავლობაში სატესტო რეჟიმში ავამოქმედებთ, რათა ხარვეზები აღმოვფხვრათ და 2019 წლის პირველ იანვარს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ“, – განუცხადა „კომერსანტს“ საპენსიო სააგენტოს დირექტორმა.

შეგახსენებთ, მთავრობა 2019 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში ნაწილობრივ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებას გეგმავს. დაგროვებითი პენსიის კანონი პარლამენტმა 21 ივლისს მიიღო. სისტემის ამოქმედების შემდეგ, მოქალაქეების მიერ დაზოგილ თანხას სპეციალური საპენსიო ფონდი განკარგავს, აღნიშნულ ფულს გარკვეულ საპროცენტო განაკვეთს დაარიცხავს და მოქალაქეებს ამ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დაუბრუნებს. რეფორმა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველ-

ყოფის ტვირთის ბიუჯეტიდან მოქალაქეებზე გატანას ისახავს მიზნად და ის საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს (40 წელი და მეტი) ეხება.

რეფორმის სქემა: საპენსიო სქემაში ავტომატურად ჩაერთვება ყველა მოქალაქე, ვინც ანაზღაურებას გაფორმებული კონტრაქტის შედეგად იღებს. სისტემა ნაწილობრივ სავალდებულო პრინციპით მოქმედებს. 40 წელზე უფროსებს არჩევანი ექნებათ, გაწევრიანდნენ თუ არა სისტემაში, 40 წლამდე პირებს კი დაზოგვის ვალდებულება გაუჩნდებათ. საპენსიო სქემა ეხება დასაქმებულს, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს.

მთავრობა 2019 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში ნაწილობრივ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებას გეგმავს. დაგროვებითი პენსიის კანონი პარლამენტმა 21 ივლისს მიიღო. სისტემის ამოქმედების შემდეგ, მოქალაქეების მიერ დაზოგილ თანხას სპეციალური საპენსიო ფონდი განკარგავს, აღნიშნულ ფულს გარკვეულ საპროცენტო განაკვეთს დაარიცხავს და მოქალაქეებს ამ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დაუბრუნებს. რეფორმა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ტვირთის ბიუჯეტიდან მოქალაქეებზე გატანას ისახავს მიზნად და ის საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს (40 წელი და მეტი) ეხება.

საპენსიო რეფორმა გულისხმობს, რომ ყოველთვიურად დასაქმებულის ხელფასის 6% უნდა შევიდეს საპენსიო ფონდში, საიდანაც 2%-ს დაფარავს სახელმწიფო, 2%-ს – დამსაქმებელი, 2%-ს კი – თავად დასაქმებული.

„კომპანიებმა არაფრის მომცემი პოლისების შეძენა უკვე დაიწყეს“

რა დაუჯდება ბიზნესს უბედური შემთხვევების დაზღვევა

პირველი იანვრიდან დამსაქმებელი ვალდებულია, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულის უბედური შემთხვევა დააზღვიოს. ამას შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი ითვალისწინებს.

დღეისათვის უცნობია, რა ლიმიტით და როგორი პირობებით ამოქმედდება სავალდებულო დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიებს მიაჩნიათ, რომ კანონი ბუნდოვანია და შესაბამისად, კონკრეტული სტანდარტების შემოღებას ითხოვენ.

– ჩვენ გვაინტერესებს, რა ლიმიტით, რა პირობებით მოხდება ამ კანონის ამოქმედება, თუმცა დღეს ეს ყველაფერი ძალიან ზოგადია. ვაკვირდებით ტენდენციას, რომ კომპანიებმა უკვე დაიწყეს ძალიან დაბალ ლიმიტიანი და არაფრის მომცემი პოლისების შეძენა, რაც სარგებელს არ მოუტანს არც დამსაქმებელს, არც დასაქმებულს, არც სადაზღვევო ინდუსტრიასა და არც სახელმწიფოს, – განაცხადა სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა თინა სტამბოლიშვილმა.

მისივე განმარტებით, სადაზღვევო ინდუსტრია უბედური შემთხვევის დაზღვევის შეთავაზებისთვის მზად არიან.

– თუ არის საუბარი იმაზე, რა სახის ლიმიტი უნდა არსებობდეს, ეს უნდა იყოს გარდაცვალების შემთხვევისას წლიური ხელფასის სამიდან ხუთმაგი ოდენობა და უფრო იზრდება ეს ლიმიტი, როდესაც საქმე გვაქვს შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევასთან, – აცხადებს სტამბოლიშვილი.

სადაზღვევო კომპანიებში ამბობენ, რომ დამსაქმებლებს უბედური შემთხვევის დაზღვევა ჯანმრთელობის დაზღვევაზე ათჯერ ან ოცჯერ იაფი დაუჯდებათ და ეს თანხა წლიურ ჭრილში, კონკრეტულ ადამიანზე, 10 ლარს არ გადააჭარბებს.

კომპანიებისთვის სადაზღვევო პაკეტის ფასისა და ასანაზღაურებელი ზარალის ლიმიტის დაწესებას ეწინააღმდეგებიან დამსაქმებელთა ასოციაციაში. ასოციაციის ვიცეპრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს საკითხი ბაზარმა თავად უნდა დაარეგულიროს.

მიშა კორძახიას განცხადებით, კანონის ამოქმედების შემდეგ სადაზღვევო კომპანიებს მოუწევთ უკეთესი ექსპერტების და თანამშრომლების აყვანა, უკეთესი შეთავაზებების გაკეთება იმისთვის, რომ განისაზღვროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა პაკეტი შესთავაზონ იმ ბაზარს, რომელზეც 2019 წლიდან კანონი გავრცელდება.

მისი თქმით, უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევის ამოქმედებით დამსაქმებლებს ხარჯი გაეზრდებათ, თუმცა ბიზნესს სხვა არჩევანი აღარ აქვს და პირველი იანვრიდან უკვე ვალდებულია, ეს ხარჯი გაიღოს.

81.250 ლარი ერთ წელიწადში – კიდევ ერთი მოხელე, რომელსაც პრემიერზე მაღალი ხელფასი აქვს

სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულების ხელფასები, პრემიები და დანამატები კრიტიკის საგანი არაერთხელ გამხდარა. „ბიზნესპრესნიუსი“ უკვე წერდა იმ ჩინოვნიკებზე, რომელთაც ხელფასის სახით ქვეყნის პრემიერ-მინისტრზე მაღალი შემოსავალი მიიღეს.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, პრემიერზე დიდი ხელფასი აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს თამარ ქალდანს.

ცნობისთვის, გასულ წელს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა 51.000 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.

თამარ ქალდანმა დეკლარაცია მიმდინარე წლის 28 ნოემბერს შეავსო. როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, 2017 წელს თამარ ქალდანის შემოსავალმა აღნიშნულ თანამდებობაზე 81 250 ლარი შეადგინა, ეს თვეში 6 770 ლარია.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახელზეა რეგისტრირებული დუშეთში, სოფელ მჭადიჯვარში, 1.500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც დეკლარაციის თანახმად, 2011 წელს მემკვიდრეობით გადაეცა. ასევე მის საკუთრებაშია 2009 წელს შეძენილი ავტომობილი ფოლკსვაგენ ჯეტა, (გამოშვების წელი 2005), რომლის ღირებულება 10.000 დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის თანახმად, თამარ ქალდანის სახელზეა: თი ბი სი ბანკის ანგარიშზე მიმდინარე – 8.500 ლარი, 4.361 დოლარი, საკრედიტო – 2.400 ლარი, სახელფასო – 16.316,05 ლარი, 400 დოლარი და 1.158,47 ევრო, ვითიბი ბანკში კი სახელფასო – 2.356,63 ლარი.

რაც შეეხება სხვა საქმიანობიდან მიღებულ ანაზღაურებას, თამარ ქალდანი რამდენიმე უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორია, საიდანაც 1 წლის განმავლობაში მიღებული აქვს: ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში – 1660 ლარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 718,75 ლარი, კავკასიის უნივერსიტეტში – 1112,5 ლარი, ხოლო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში – 2.200 ლარი.

გარდა ამისა, თამარ ქალდანის სახელზეა 3.000 ლარის ღირებულების ანაბარი.

გასული წლის 1-ლი იანვრიდან თამარ ქალდანს გადახდილი აქვს სასტუმროს მომსახურების საფასური (არასწორი ჩამოჭრით) 2.504,64 ლარი, შვილის სწავლის საფასური – 2.750 ლარი, სესხი – 3000 ლარი, LA PhD სწავლის გადასახადი – 5.000 ლარი, არასწორად ჩამოჭრილი და გაპროტესტებული სასტუმროს მომსახურების საფასურის უკან დაბრუნება (კურსთაშორისი სხვაობის გათვალისწინებით) – 2.421,53 ლარი.

რაც შეეხება ოჯახის წევრებს, თამარ ქალდანს ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. მეუღლე, ლევან მოსახლიშვილი, ფლობს 140,92 კვ.მ. ბინას თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირზე, რომელიც 2008 წელს 81.700 დოლარად არის შეძენილი, 384 კვ.მ მიწის ნაკვეთს კოჯორში, რომელიც ნასყიდობით არის გაფორმებული, თუმცა ღირებულება მითითებული არ არის. 19, 153 კვ.მ ფართობის აგარაკს დაბა კოჯორში, რომლის ღირებულებაა 33.000 დოლარი. ასევე, 740 კვ.მ მიწის ნაკვეთს მცხეთაში, სოფელ ცხვარიჭამიაში, 5.000 დოლარის ღირებულების.

საქართველოში თაფლის სრული ლაბორატორიული კვლევის ჩატარება ერთ წელიწადში იქნება შესაძლებელი

– ერთ წელიწადში საქართველოში თაფლთან დაკავშირებით ყველანაირი ლაბორატორიული კვლევის განხორციელება იქნება შესაძლებელი.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე ქართული ლაბორატორია გასცემს სერტიფიკატს, რომელიც ევროპის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. თუმცა მისივე განმარტებით, ანალიზების ნაწილი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, საზღვარგარეთ მდებარე აკრედიტებულ ლაბორატორიებში ტარდება.

– ჩვენი ლაბორატორია იღებს განაცხადს და გასცემს ისეთ სერტიფიკატს, რომელიც ევროპას სჭირდება. მწარმოებლისთვის და ექსპორტიორისთვის შეზღუდვა არ არსებობს იმ კუთხით, რომ ევროპაში გაიტანოს თაფლი, ხოლო ის, თუ რამდენი ანალიზის გაკეთება ხდება ჩვენთან და რამდენის საშუალება გვექნება უახლოეს პერიოდში, ეს ჩვენი დღის წესრიგის ნაწილია. ქართულ ლაბორატორიას გააჩნია ხელშეკრულებები, შეთანხმებები აკრედიტებულ ლაბორატორიებთან და ჩვენ ისე, რომ დისკომფორტი არ შეექმნას განმცხადებელს, გავცემთ სერტიფიკატს, ერთ წელიწადში კი ამ ანალიზებს სრულფასოვნად ჩვენ თვითონ გავაკეთებთ, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თითქმის ორი წელია, რაც ევროკავშირმა საქართველო შეიყვანა მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე თაფლის შეტანა დაშვებულია. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ქართული წარმოების თაფლი ევროპის ბაზარზე ვერ ხვდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად ქართველი მწარმოებლები ლაბორატორიული კვლევების წარმოების პრობლემას ასახელებენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი კი მეწარმეების ამგვარ არგუმენტებს სპეკულაციებს უწოდებს. ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ ფერმერებს ლაბორატორიული დასკვნების კუთხით არანაირი შეფერხება არ ექმნებათ.

– არის ერთგვარი ცრუ სპეკულაცია და ხშირ შემთხვევაში გადაბრალება სხვა მიმართულებით. ჩვენ რეალურად სხვა ნაწილში გვაქვს პრობლემა, უნდა მივხედოთ უკეთეს კონტროლს დამაბინძურებლებისა და ვეტერინარული პრეპარატების. უკეთესად უნდა ვისწავლოთ მეფუტკრეობა. ცოდნის ამაღლებაა ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ვაწარმოოთ მეტი და უკეთესი ხარისხის თაფლი. ეს არის ჩვენი გამოწვევა და არა ლაბორატორიული ანალიზები, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

პირველად საქართველოში სტარტაპერების საკონსულტაციო კომპანია შეიქმნა

ქვეყანაში სტარტაპების მიმართ ინტერესი, როგორ სახელმწიფოს ისე საზოგადოების მხრიდან ბოლო წლებში განსაკუთრებით გაზრდილია, თუმცა მიუხედავად ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტებისა სტარტაპებს ხშირად ბაზარზე თავის დამკვიდრება უჭირთ.

საკონსულტაციო კომპანია „ლაბარტყავას საკონსულტაციო ჯგუფი“ სტარტაპერებს ბიზნესის განვითარებაში ეხმარება და როგორც მისი დირექტორი ლევან ლაბარტყავა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, კომპანია ბაზარზე სტარტაპების თავის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. მისივე თქმით, დღეს ტენდენციურად ფულადი რესურსი იდეის არსებობაში ნაკლებად იდება და მეტი ყურადღება წინასწარ ბიუჯეტით გათვლილ ბიზნესებს ეთმობა.

– ჩვენ ვეხმარებით მათ, ვისაც არ აქვს გამოცდილება, მაგრამ აქვს კარგი იდეა. კერძოდ, სტარტაპებს კონსულტაციას ვუწევთ ფინანსების წინასწარ გათვლაში, კადრების მოძიებაში, მარკეტინგულ აქტივობაში, ბრენდინგში, ასევე სტრატეგიის დასახვაში.

ვინც სტარტაპებს ეხმარება, მსგავსი სახის კომპანია ქართულ ბაზარზე არ არსებობს. არსებობს დიდი კომპანიების კონსალტინგზე მომუშავე ორგანიზაციები.

ქვეყანაში ბანკებს და სახელმწიფოს აქვს გარკვეული პროექტები, რაც სტარტაპს წინსვლაში ფინანსურად ეხმარება, თუმცა სახელმწიფო სტარტაპებს ბიზნესის აწყობაში სრულად ვერ დაეხმარება, – განაცხადა ლევან ლაბარტყავამ.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რამდენად აქვთ ქართულ სტარტაპებს მსოფლიო ბაზარზე მოწინავე ადგილზე ყოფნის შესაძლებლობა, საკონსულტაციო კომპანიის დირექტორი გვპასუხობს: „ყველაზე დიდი პოტენციალი ტექნოლოგიურ სტარტაპებს აქვთ, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. გარდა ამისა, არსებობს სტარტაპები, რომლებსაც ადგილობრივი ბაზრის განვითარება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლიათ.

ჩვენ ადგილობრივი და ქართული პროდუქციის განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი, რადგან რეალურად ამის

პოტენციალი გვაქვს. საკმაოდ საინტერესო თაობა მოდის და საზოგადოებაში მენტალური აზროვნება შეიცვალა, რაც ამ პოტენციალის ზრდას განაპირობებს. მაგალითად, დღეს მომხმარებელი ქართულ ნაწარმს უპირატესობას ანიჭებენ, რაც სტარტაპებს გაყიდვებს სამომავლოდ მეტად გაუზრდის“.

2019 წლის იანვარში კომპანია ფორუმის მოწყობას გეგმავს, სადაც სტარტაპერები ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდებიან და მათ მოსაზრებებს გაუზიარებენ.

კომერსანტი

სესხების პატიების პროექტი, დაპირებისამებრ, 15 დეკემბერს დაიწყება

– მიუხედავად სესხების პატიების პროექტის მასშტაბურობისა, აღნიშნული პროცესი, დაპირებისამებრ, 15 დეკემბერს დაიწყება და 31 დეკემბერს დასრულდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სიების ფორმირების მიმართულებით.

– ამასთან, სესხების პატიების პროექტში დამატებით 10-მდე სესხის გამცემი ორგანიზაცია ჩაერთო, რომლებსაც საწყის ეტაპზე თანამშრომლობის სურვილი არ ჰქონდათ. ამ ეტაპზე, მათი მხრიდან ჩამოსაწერი სესხების მონაცემების მოწოდება მიმდინარეობს. ყველა ჩამოსაწერ სესხზე ინფორმაცია ასახული იქნება ერთიან ბაზაში, რომელიც უახლოეს პერიოდში განთავსდება სპეცი-

ალურად ამ პროექტისთვის შექმნილ ვებგვერდზე, – განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, თითოეულ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, გადაამოწმოს საკუთარი თავი აღნიშნულ ბაზაში. ასევე, მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ მიმართონ იმ საფინანსო ორგანიზაციებს, ვისი ვალიც მათ აქვთ.

თბილისში, სასტუმრო „ალიანსში“, ლუკა ჩხეტია და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს

2 დეკემბერს, გამთენიისას, თბილისში სპეცოპერაცია ჩატარდა.

ლიხაურის ქუჩაზე სპეცრაზმი და სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული. მათ სასტუმრო „ალიანსში“ მცხოვრები უკრაინის მოქალაქეები დააკავეს.

უკრაინელები სასტუმროში 27 ნოემბერს შევიდნენ. თავდაპირველად თბილისში 3 მათგანი ჩამოვიდა, მოგვიანებით კი მათ კიდევ 2 პირი შეუერთდა.

დაკავებულთა შორის დონბასში მებრძოლი ქართველი სამხედრო ლუკა ჩხეტიაც არის, რომელიც თბილისში გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

სასტუმროს პერსონალი ამბობს, რომ სპეცრაზმს ჰქონდა ინფორმაცია, კონკრეტულად რომელ ნომერში იმყოფებოდნენ ისინი, რადგან სხვა ოთახები მათ არ შეუმოწმებიათ.

– ხუთი ცხოვრობდა ჩვენთან. პასპორტები უკრაინული ჰქონდათ. უკრაინის მოქალაქეები არიან. 27-ში შემოვიდნენ ღამე. 27-ში როცა ვიყავი, სამნი მოვიდნენ, გუშინ რომ მოვედი, დამხვდნენ ხუთნი, – აცხადებენ სასტუმროში.

სამართალდამცავებს კომენტარი ადგილზე არ გაუკეთებიათ.

ლუკა ჩხეტიას და ნიუპოსტთან აცხადებს, რომ მისი ძმა წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლია.

მარინა ჩხეტია აღნიშნავს, რომ დაკავებულს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავებიან.

– ჩემი ძმა ბოლო ორი წლის განმავლობაში უკრაინაში საბრძოლო ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას. უკრაინაში ოპოზიციის აქციების დროსაც დაკავეს, თუმცა დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს, რის შემდეგაც უკრაინაში აგრძელებდა მოღვაწეობას. დღეს დილით კი დამირეკა გამომძიებელმა და მითხრა, თქვენი ძმა თბილისში არის დაკავებულიო.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია, ასე უნდა გაეკეთებინათ. მას ჩაუდეს იარაღი! ეს ჩემი ძმის პირდაპირი დევნაა და ამ დევნის შედეგია მისი დაპატიმრება, – განაცხადა დაკავებულის დამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში უკრაინის მოქალაქეების დაკავების ფაქტი დაადასტურა.

„თბილისში, ლიხაურის ქუჩაზე, დაკავებულია უკრაინის 7 მოქალაქე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დედა-შვილ კვეზერელების მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ყუფარაძე საბერძნეთიდან საქართველოში ჩამოიყვანეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე საბერძნეთიდან საქართველოში დამამძიმებელ გარემოებებში ნატო კვეზერელისა და გურამ კვეზერელის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულ გიორგი ყუფარაძის ექსტრადირება განხორციელდა.

გიორგი ყუფარაძის მიმართ ძებნის გამოცხადების თხოვნით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს 2016 წლის 21 აპრილს მიმართა. პარალელურად, უწყებამ, ბერძნულ მხარეს ყუფარაძის წინასწარი დაკავების თხოვნით მიმართა.

2016 წლის 3 ივნისს ათენის ინტერპოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყუფარაძე საექსტრადიციო პატიმრობაში აიყვანეს, რის საფუძველზეც, ქართულმა მხარემ, 2016 წლის 14 ივნისს, მისი ექსტრადიცია მოითხოვა.

გიორგი ყუფარაძე ქ. ალექსანდრუპოლისში ვინმე პოჰლოდკოვ მიროსლავის გაყალბებული პასპორტით იმყოფებოდა.

მას ბრალად ედება ნატო კვეზერელის და გურამ კვეზერელის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, შეძენა და შენახვა. ასევე, ზურაბ ესიაშვილის მიმართ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის დეკემბერში, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის ნასამართლევმა გიორგი ყუფარაძემ და ვასილ გოშაძემ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ანგარებით, ქ.თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე აგარაკზე, დანით რამდენიმე დარტყმით მოკლეს გურამ კვეზერელი, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით გვამი წინასწარ შეძენილ პლასტმასის კასრში მოათავსეს და მისი დაშლის მიზნით ქიმიური მჟავა ჩაასხეს. ვინაიდან გვამი არ დაიშალა, მათ კასრში ცემენტი ჩაყარეს და აგარაკის ეზოში დამარხეს.

იმავე დღეს გიორგი ყუფარაძემ და ვასილ გოშაძემ, ქ.თბილისში, თბილისის ზღვაზე მდებარე ნატო და გურამ კვეზერელების საცხოვრებელ ბინაში, დანის ჩარტყმით ნატო კვეზერელი მოკლეს, შემდეგ კი ფარულად დაეუფლნენ ბინაში არსებულ დაახლოებით 12.000 აშშ დოლარს, „ლეპტოპს“, საბუთებს, ბანკის ბარათებს, ოქროს ნივთებს, გურამ კვეზერელის სახელზე რეგისტრირებულ ორ ცეცხლსასროლ იარაღს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ამჟამად საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

„კურიერის“ ჯგუფზე თავდასხმის გამო გამოძიება შსს-მ 3 მუხლით დაიწყო

კურიერის გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის გამო გამოძიება შსს-მ სისხლის სამართლის 3 მუხლით დაიწყო – ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, სხვისი ნივთის დაზიანება და ოფისში უკანონო შეღწევა.

ბოლო მუხლი, სავარაუდოდ, სწორედ რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფს ეხება, რომელსაც ნანა კაკაბაძემ და მისმა მომხრეებმა დაუზიანეს ტელეკომპანიის აპარატურა და ოფისიდან ძალის გამოყენებით გამოაძევეს ჟურნალისტი და ოპერატორი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი, საინფორმაციო ცენტრების ქსელის რედაქტორი, გელა მთივლიშვილი ამბობს, რომ როდესაც სამართალდამცავი უწყებები დროულ რეაგირებას არ ახდენენ თავდასხმის ფაქტებზე, ეს ჟურნალისტთა სამუშაო გარემოს აუარესებს.

– ამ შემთხვევაში, ჩვენ ვნახეთ, რომ ფიზიკური ძალის გამოყენებით გამოიყვანეს, გამოათრიეს ჟურნალისტები არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისიდან, რაც ორმაგად მიუღებელი და დაუშვებელია, იმიტომ, რომ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაცია ფიგურირებს.

კითხვები, რომლებიც ჟურნალისტს ჰქონდა, იყო ლეგიტიმური, ეს საკითხი ეხება არჩევნებს. ამ ორგანიზაციას საარჩევნოდ უბნებზე ჰყავდა მივლენილი ასობით და ათასობით დამკვირვებელი და, ბუნებრივია, არა მხოლოდ რუსთავი 2-ს, არამედ ყველას ჩვენ გვაინტერესებს, როგორ შეძლო ამდენი რესურსის მობილიზება, – განაცხადა გელა მთივლიშვილმა.

საქმის ადეკვატურ და დროულ გამოძიებას მოითხოვს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

დიღომში 2-სართულიან მშენებარე სახლში აფეთქება მოხდა

თბილისში, სოფელი დიღომში, შერმადინის ქუჩაზე, აფეთქების შედეგად ჩამონგრეულია მშენებარე ორსართულიანი სახლის კედლები.

ერთ-ერთი დაშავებული მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იგი დამწვრობის ცენტრშია გადაყვანილი. როგორც ექიმმა, გიორგი წერეთელმა განაცხადა, მას სხეულის სხვადასხვა მიდამოში მეორე და მესამე ხარისხის თერმული დამწვრობა აღენიშნება.

– რეანიმაციის განყოფილებაში შემოვიდა 40 წლის მამაკაცი, რომელსაც აღენიშნება სხეულის სხვადასხვა მიდამოს მეორე და მესამე ხარისხის თერმული დამწვრობა, სასუნთქი გზების თერმო-ინგალაციური დაზიანება და დამწვრობითი შოკი. ამ დროისთვის პაციენტს

უტარდება ინტენსიური ანტიშოკური თერაპია, ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი. პაციენტის მდგომარეობა მძიმეა, ხოლო დამწვრობა კრიტიკულია, – განაცხადა გიორგი წერეთელმა.

აფეთქების შედეგად 4 პირი დაშავდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ 2 პირი სხვადასხვა კლინიკაში გადაიყვანა, ორის საავადმყოფოში გადაყვანა კი საჭირო არ გახდა.

თბილისის აეროპორტში ირანის 6 მოქალაქე დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ირანის 6 მოქალაქე – 1983 წელს დაბადებული თ. ჯ., 1990 წელს დაბადებული ფ.რ., 1969 წელს დაბადებული ჰ.ხ., 1969 წელს დაბადებული მ.ხ., 1978 წელს დაბადებული ზ.ხ. და 1967 წელს დაბადებული ფ.დ. დააკავეს. მათ ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში შემოტანა ედებათ.



ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა 6-ვე ბრალდებული თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზში დააკავეს. მათგან 3 პირის დაკავება შემოსავლების სამსახურის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო სამსახურიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში მოხდა.

„პოლიციამ დაკავებულებისგან ნივთმტკიცებად ამოიღო 21 შეკვრად დაფასოებული 1 კილო და 530 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები,“ – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს.

რუსთავში ფერადკანიანი მამაკაცი ცემეს

რუსთავში ფერადკანიანი მამაკაცი ცემეს.

ინციდენტი მიკროავტობუსში მას შემდეგ მოხდა, რაც ტრანსპორტში 43 წლის უცხო ქვეყნის მოქალაქე ავიდა.

არსებული ინფორმაციით, არაფიზელ მდგომარეობაში მყოფმა პირმა ფერადკანიან მამაკაცს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ მოასწრო და ვიდეოს გადაღება მოახერხა.

„ინფო რუსთავს“ შსს-ში განუცხადეს, რომ ფაქტზე გამოძიება სსკ 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს. ინციდენტში მონაწილე პირი იდენტიფიცირებულია.

პოლიციამ ზუგდიდში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით 1974 წელს დაბადებული ჩ.ო. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და ვაზნები ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილით მიმდინარეობს.

უკრაინის ოკუპირებულ ნაწილში რუსული არმიის კონცენტრაცია გრძელდება

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ სამხედრო მდგომარეობის შემოღება აუცილებელი იყო, რადგან რუსეთის შემოჭრის საფრთხე რეალური გახლდათ.

უკრაინის ოკუპირებულ ნაწილში (ყირიმი, დონბასის ნაწილი) რუსი ჯარისკაცების კონცენტრაცია გრძელდება. დღეისთვის იქ თავმოყრილია 80.000 რუსი ჯარისკაცი, 900 ტანკი, 1400 საარტილერიო და სარაკეტო დანადგარი, 300 ვერტმფრენი, 500 თვითმფრინავი, 200 ჯავშნიანი მანქანა.

– სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება აუცილებელი იყო, რათა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა აგვემაღლებინა და მტრის დასახვედრად მოვმზადებულიყავით, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელ ჯარისკაცებს უახლესი ტექნიკა გადაეცათ. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ამაღლდა. უკრაინაში რეზერვისტების მობილიზაცია გამოცხადდა. ქვეყანა მტრის დასახვედრად მზადაა.

– იმედი მაქვს, რომ დეკემბრის შემდეგ სამხედრო მდგომარეობის გაგრძელება აღარ მოგვიწევს, – განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა და ავღანეთის ომის ვეტერანმა სერგეი კუნიცინმა ამ ეტაპზე რუსების ფართომასშტაბიანი ინტერვენცია უკრაინაში არარეალურად მიიჩნია.

– რუსების დანაკარგი უდიდესი იქნება! დავიწყოთ იქიდან, რომ საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია უკიდურესად მძაფრი იქნება. მოსკოვს ახალ სანქციებს დაუწესებენ. ამას გარდა, უკრაინული არმია მტერს გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს. მე არ ვამტკიცებ, რომ ამ ეტაპზე შეგვიძლია, რუსების მასირებულ შეტევას გავუძლოთ, მაგრამ, ის ნამდვილად შეგვიძლია, რომ მტერს დიდი ზარალი მივაყენოთ! რუსეთი მინიმუმ 100.000 ჯარისკაცს დაკარგავს, – ამბობს კუნიცინი.

დეპუტატის აზრით, პუტინს ეს კარგად ესმის. ამიტომაც ამ ეტაპზე ინტერვენციისგან თავს შეიკავებს.

– პუტინი დიდი ჭკუით არ გამოირჩევა, მაგრამ მას აქვს ერთი ღირსება: ის არ არის ფანატიკოსი და მოვლენებს საღად, პრაგმატულად აფასებს, – თქვა კუნიცინმა.

ამავე დროს, დეპუტატმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუსები პროვოკაციებს ბევრად უფრო აქტიურად გააგრძელებენ. გამორიცხული არ არის დივერსიები და ტერორი.

– დეკემბერი ამ მხრივ მეტად რთული თვე იქნება, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემდეგ ვითარების განმუხტვაა მოსალოდნელი! უახლოესი წლების განმავლობაში ასეთ რეჟიმში ცხოვრება მოგვიწევს, – აცხადებს კუნიცინი.

დეპუტატის აზრით, ყოველივე ამის შედეგად უკრაინაში ძლიერი პატრიოტული საზოგადოება ჩამოყალიბდება.

– უკრაინის მოსახლეობის ნაწილი ქვეყანას დატოვებს, ნაწილი ბრძოლაში დაეცემა. ვინც გადარჩება, მას მკვეთრად გამოხატული პატრიოტული ცნობიერება ექნება და რუსეთი მისთვის ერთმნიშვნელოვნად მტერი იქნება, – ფიქრობს კუნიცინი.

საფრანგეთის ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს განიხილავს

საფრანგეთის ხელისუფლება ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შემოღების შესაძლებლობას განიხილავს, რათა ფართომასშტაბიანი არეულობის განმეორება აღკვეთოს და პროტესტის მონაწილეები მოლაპარაკებათა მაგიდასთან მიიწვიოს. ამის შესახებ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა ბენჟამინ გრივომ განაცხადა.

მისი თქმით, საგანგებო მდგომარეობის შემოღება ვითარების დარეგულირებისთვის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება.

– უკვე ყოველი გამოსასვლელი დღე შეკრების ან ძალადობის რიტუალის დღედ იქცევა, – განაცხადა გრივომ.

საფრანგეთში პროტესტი 17 ნოემბრიდან დაიწყო, რაც ქვეყანაში საწვავის მოსალოდნელ გაძვირებას უკავშირდება.

1 დეკემბერს სამართალდამცველებმა 378 ადამიანი დააკავეს. დაშავებულია 133 ადამიანი.

ლათინურ ამერიკაში ჩინეთის გავლენა იზრდება

ლათინურ ამერიკაში ჩინელები სულ უფრო აქტიურდებიან.

ამის თაობაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა.

– ჩინეთის გავლენა იზრდება, რაც ძალიან გვაშფოთებს, – ამბობს პომპეო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნისთვის ლათინური ამერიკის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცება სასიცოცხლოდ აუცილებელია. პრეზიდენტი ტრამპიც ამას მიზანმიმართულად ახორციელებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯორჯ ბუში უფროსი გარდაიცვალა

გარდაიცვალა გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი. ის 94 წლის იყო.



ბუში იმ ამერიკელი პოლიტიკოსების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ, შემდეგ კი პოლიტიკაში მოვიდნენ.

სხვადასხვა დროს მას ეკავა გაეროში აშშ-ის ელჩის, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორის პოსტები. რონალდ რეიგანის მმართველობის დროს ბუში ვიცეპრეზიდენტი იყო, შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტადაც აირჩიეს.

ის ქვეყანას პირველი ცივი ომის დამთავრების ხანაში ხელმძღვანელობდა. ბუშის მმართველობისას მოხდა ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება. ბუშის პრეზიდენტობის დროს აშშ-მ განახორციელა წარმატებული სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ (ქარიშხალი უდაბნოში).

ბუშის მმართველობისას განხორციელდა სოციალისტური ბანაკის დემონტაჟი. ყველაფრის პიკი კი 1991 წელს სსრკ-ის დანგრევა იყო.

ჯორჯ ბუში უკვე ხანდაზმულ ასაკშიც ბრწყინვალე ფორმაში გახლდათ. 80 წლის იუბილე მან პარაშუტით გადმოხტომით აღნიშნა. ეს ტრიუკი 90 წლის ასაკშიც გაიმეორა.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პი

ახალი ზელანდიის სანაპიროზე უცნობი არსების ნარჩენები აღმოაჩინეს

ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩის მცხოვრებმა ქალბატონმა ფეისბუქში უცნაური ზღვის არსების ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ქალმა ის იმ დროს შენიშნა, როდესაც დედასთან ერთად სანაპიროზე მიმოყრილ ნაგავს აგროვებდა. თავდაპირველად მას ის პლასტიკატის ნივთი ეგონა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ რაღაც საინტერესო აღმოაჩინა. არსებას ჰქონდა გრძელი კუდი, ორი გამონაზარდით გვერდებზე, ფრთებზე – ბრჭყალები ჰქონდა, ხოლო პირი – მჭრელი კბილებით სავსე.

– მე ის სახლამდე მივიტანე და ჩემს ტაქსიდერმოლოგ მეზობელს ვაჩვენე, რომელსაც შეიძლება სცოდნოდა, ეს რა არსება იყო, – განაცხადა ქალმა, – თუმცა არც ის იყო დარწმუნებული იმაში, თუ რა არსებასთან გვქონდა საქმე.

ამის შემდეგ მან ფოტოსურათები სოციალურ ქსელში განათავსა იმის იმედით, რომ იქ მაინც შეიძლება გამოჩენილიყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ არსებას ამოიცნობდნენ.

ერთ-ერთმა ნაცნობმა ივარაუდა, რომ ის სკატის ჩონჩხს გადააწყდა. წყლისა და ატმოსფეროს კვლევის ახალი ზელანდიის ეროვნული ინსტიტუტის იხტიოლოგმა მალკოლმ ფრენსისმა ეს ვარაუდი დაადასტურა. მისი აზრით, ის რომბისებური სახეობის მამრი სკატის ჩონჩხია, რომლებიც წყლის სიღრმეში 10-დან 1500 მეტრამდე ბინადრობენ.

ფეხმძიმე ქალი ციხეში ჩიპსების ქილის გახსნისთვის ჩასვეს

ირლანდიის მცხოვრებმა ქალბატონმა ციხეში ორი თვე იმის გამო გაატარა, რომ ტესკოს მაღაზიაში ჩიპსების შეკვრა გახსნა.

ინციდენტი 2016 წლის 27 დეკემბერს მოხდა. ქალაქ კორკის მცხოვრებს, 25 წლის კეტლინ მაკდონახს, ბრალდების თქმით, სუპერმარკეტში შესვლა მისი ქცევის გამო აუკრძალეს. კონკრეტულად რამ აიძულა სუპერმარკეტის ხელმძღვანელობა, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, უცნობია.

ამის შემდეგ ქალმა ჩიპსების ქილა აიღო თაროდან და თვითმომსახურების ზონისკენ გაემართა. ის მცველმა შენიშნა, მასთან მივიდა და მაღაზიის დატოვება მოსთხოვა, მან კი, თავის მხრივ, დაცვის თანამშრომლის თვალწინ შეკვრა გახსნა.

– მე ის გავხსენი, ასე რომ, თქვენ მასში ფულის გადახდის უფლება უნდა მომცეთ, – განუცხადა მაკდონახმა მცველს.

ჩიპსების შეკვრა დაახლოებით ევრო-ნახევარი ღირდა, ხოლო ამ ინციდენტის დროს ქალი ფეხმძიმედ იმყოფებოდა.

ამ საქმემდე ირლანდიელის ანგარიშზე კანონის დარღვევის 31 შემთხვევა ირიცხებოდა. მოსამართლემ მაკდონახი ქონების დაზიანებაში, რომელიც ამის შემდეგ გაყიდვას აღარ ექვემდებარებოდა, დამნაშავედ ცნო. ამ ყოველივეს შედეგად ქალმა ორი თვე ციხეში გაატარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საჩემპიონო დერეფანი, დაქვეითებული კოლხეთი და ფლეი აუტში მოხვედრილი სამტრედია

ტორპედო-საბურთალო 0:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

ტორპედო: კვასხვაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, ქიმაძე (ჰასელბაინკი 76), მარინი, კობახიძე, დაფე (კუტალია 66), კუხიანიძე, წიქარიძე (ჰლინკა 80), გიგაური, ლაჩნი

საბურთალო: კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია, ჩაბრაძე, ცნობილაძე, რეხვიაშვილი, ტერა, დიასამიძე (გვარაძე 60), ვოლკოვი (გოშთელიანი 67), კოხრეიძე, დვალიშვილი (ალთუნაშვილი 73)

საბურთალო ჩემპიონის რანგში ჩავიდა ქუთაისში ტორპედოსთან. გუნდთან, რომელმაც ქვეყნის თასი მოიგო. ამიტომაც იყო, გუნდებმა ერთმანეთს საჩემპიონო დერეფანი რომ მოუწყვეს.

ეს იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი მთელ მატჩში, რომელიც ქუთაისელთა მცირე უპირატესობით წარიმართა. თუმცა, იმ დღეს იმერეთის მთავარ ქალაქში ძლიერი ქარი ქროდა და გუნდებს ნორმალური ფეხბურთი არ უჩვენებიათ.

ჩემპიონისა და თასის მფლობელის მატჩი, ფაქტობრივად, არ შედგა. საბურთალომ ზედიზედ მე-9 მატჩი არ წააგო, რიონისპირელებმა კი ეს რიცხვი 20-მდე აიყვანეს.

საბურთალოელებს მომდევნო შეხვედრაში, რომელსაც საჩხერის ჩიხურასთან გამართავს, გუნდის ოფიციალური დაჯილდოება მოხდება.

დინამო-სიონი 5:2

თბილისი. დინამო არენა

1:0 შულაია (25), 1:1 დათუნაიშვილი (29), 2:1 ზივზივაძე (43), 2:2 ხეცურიანი (45), 3:2, 4:2, 5:2 ზივზივაძე (48, 60, 69)

დინამო: სიკაჩი, ძოწენიძე, ივანისენია, კობოური, რუხაია, ხარაბაძე, ნინუა (ქარდავა 62), ზარია (ქოჩლაძე 73), შენგელია (ერგემლიძე 78), შულაია, ზივზივაძე

სიონი: ზარქუა, გურეშიძე, ხეცურიანი, მინდორაშვილი, გიორბელიძე, ხმალაძე, დათუნაიშვილი, კოშკაძე (სიხარულია 62), კირკიტაძე, მანაგაძე, მახარობლიძე (უგულავა 73)

ორივე გუნდი მოედანზე გაეროს მიერ ორგანიზებული – ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ აქციის ეგიდით დამზადებული მაისურებით გამოვიდა. მატჩის დაწყებამდე კი სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა ჩვენი გუნდის ყოფილ და ამჟამად სიონის ნახევარმცველს ალექსანდრე კოშკაძეს ეროვნულ ლიგაში დამყარებული რეკორდი მიულოცა – 442 მატჩი უმაღლეს ლიგაში. აქამდე ეს რეკორდი გივი დიდავას ეკუთვნოდა.

მატჩი დინამოელთა კაპიტანმა ლაშა თოთაძემ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ზაურ სვანაძემ მისი ადგილი ახალგაზრდა თორნიკე ძოწენიძეს ანდო. სათამაშო უპირატესობა მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ტაიმის შუაწელში ზუსტი დარტყმით ანგარიში აკაკი შულაიამ გახსნა. ამის შემდეგ ორიოდე წუთში ლევან შენგელიამ თავისი საფირმო დარტყმა შეასრულა, ბურთი მცირედით აცდა კარს. სამაგიეროდ, 29-ე წუთზე დინამოელთა ნახევარდაცვის შეუთანხმებელი თამაშით ბოლნისელებმა ისარგებლეს და გიორგი დათუნაიშვილმა აღადგინა სტატუსკვო.

დინამომ შეტევებს უმატა და ბოლო 5 წუთში იდენტური სიტუაცია გათამაშდა. ჯერ ბუდუ ზივზივაძემ ეროვნულ ლიგაში მე-18 გოლი გაიტანა, ორიოდე წუთში კი გივი ხეცურიანმა ისევ აღადგინა წონასწორობა და ტაიმიც მორჩა.

მეორე ტაიმი დინამომ შედეგიანად დაიწყო, ზივზივაძემ დუბლი გაიფორმა. შეხვედრის დაწყებიდან ერთი საათის თავზე კი დინამოს 9 ნომერმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ხოლო 69-ე წუთზე ერთხელაც დაამწუხრა მეტოქე და ბომბარდირთა დავაშიც 21 გოლით დაწინაურდა.

საბოლოოდ თბილისელებმა 5:2 იმარჯვეს.

სამტრედია-ჩიხურა 1:2

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 სარდალიშვილი (3), 0:2 მირცხულავა (17), 1:2 ერისთავი (81)

სამტრედია: სტურუა, გურული, კოშმანი, ტუღუში, გორელიშვილი (ერისთავი 75), ლიპარტია (მაქაცარია 83), ოლხოვი (მამასახლისი 46), კერძევაძე, ფატიჩი, გოგიაშვილი, ენდელაძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, ლექვთაძე (ბუხაიძე 90), კახაბრიშვილი, ბულრიძე (ჩიხლაძე 75), ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, სარდალიშვილი

სამტრედია პლეი აუტს ვერ ასცდებოდა, ამიტომ მატჩში ქულები უფრო სტუმრებს სჭირდებოდათ და შეხვედრაც მათი სრული უპირატესობით წარიმართა. სოსო ფრუიძის გუნდი უკვე მე-3 წუთზე დაწინაურდა – მიხეილ სარდალიშვილი მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა, თითქოს მცველებმა ბურთი კი აართვეს, თუმცა საბოლოოდ არეულობა შეიქმნა, რითიც თავად სარდალიშვილმა ისარგებლა და ახლო მანძილიდან სამტრედიელთა კარი აიღო.

მე-17 წუთზე საჩხერელებმა კიდევ ერთხელ გაიხარეს. გაბედავას ჩაწოდებული სტანდარტულის შემდეგ, მცველებმა ბურთი საჯარიმოდან უხეიროდ გამოიტანეს, შემდეგ ირაკლი ლექვთაძემ ძლიერად დაარტყა, მეკარემ მისი დარტყმული კი მოიგერია, თუმცა იქვე მდგარმა მირცხულავამ ისარგებლა და მეორე გოლი გაიტანა.

დარჩენილ დროშიც უპირატესობას ჩიხურა ფლობდა. მიუხედავად ამისა, სამტრედიამ ერთი ბურთი გაქვითა: 81-ე წუთი იყო, როცა შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ერისთავმა ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, შუაში შეიწია და უძლიერესი დარტყმით შესანიშნავი გოლი გაიტანა.

რუსთავი-დილა 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი 2

რუსთავი: მიგინეიშვილი, პაპავა, სილაგაძე, ქავთარაძე, ლობჯანიძე, კვირკველია, ჩოგაძე (თარხნიშვილი 72), კვარაცხელია, ფონიავა, თ.კირკიტაძე, კილასონია

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, ნონდი, ქავთარაძე (კორიფაძე 63), ნონიკაშვილი, კოვტალიუკი, ლემპტი (ჯუფი 75), სანტოსი, გრიგალაშვილი, რიბეირო, სუხიაშვილი (გ.გადრანი 63)

გაძევება: ნონდი (90)

გორული კლუბისთვის თითოეულ ქულას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი საჩხერის ჩიხურასთან მინიმალურ სხვაობაში იყვნენ, ეს 2 კლუბი კი მეოთხე ადგილის დასაკავებლად იბრძვის, რაც ავტომატურად ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრას გულისხმობს. რაც შეეხება რუსთაველებს, ისინი გასავარდნი ზონის სიახლოვეს ტრიალებენ და შეხვედრის მოსაგებად მათაც არანაკლები მოტივაცია ჰქონდათ.

გოლის გაშვება არც ერთ მხარეს სურდა, რაც შედეგზეც აისახა.

ლოკომოტივი-კოლხეთი 5:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 დავითაშვილი (8), 2:0 გავაშელიშვილი (14), 2:1 დოროშენკო (21), 3:1 არდაზიშვილი (59), 4:1 კობახიძე (69), 5:1 ჯიქია (82)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ძებნიაური (კიკაბიძე 79), ქურდაძე, შონია, გვალია, გავაშელიშვილი (ჯიქია 68), დავითაშვილი (კომახიძე 73), გაბაძე, უბილავა, არდაზიშვილი, კობახიძე

კოლხეთი: მიქავა, კერელეიშვილი, ძაძამია, ციკოლია, დოროშენკო (აშორტია 57), აფხაზავა, კაკულია (მაზარაძე 76), ჭეჭელაშვილი, იმნაძე (ფენდერავა 88), პრიჩინენკო, ტყემალაძე

ლოკომოტივმა უპირატესობა დებიუტშივე მოიპოვა და კოლხეთს ორი გოლი გაუტანა. ანგარიში მე-8 წუთზე ზურიკო დავითაშვილმა, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გახსნა. მე-14 წუთზე სტუმრებს მეორე გოლი მამია გავაშელიშვილმა გაუტანა.

მომდევნო ეპიზოდში სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს: 21-ე წუთზე, რევაზ თევდორაძის კარი კირილო დოროშენკომ შორეული დარტყმით აიღო.

კოლხთათვის სულ ეს იყო... ლოკომოტივმა მე-2 ტაიმში უფრი ყურადღებით და შედეგიანად ითამაშა. ჯერ იყო და რატი არდაზიშვილმა ულამაზესი გოლი გაიტანა. ლოკომოტიველთა ნახევარმცველმა ბაჩო მიქავას კარი შორეული დარტყმით აიღო. მომდევნო ეპიზოდში ოთარ კობახიძემ კოლხეთის საჯარიმოში შექმნილი გაუგებრობით კარგად ისარგებლა. მატჩის საბოლოო შედეგი შეცვლაზე შესულმა დავით ჯიქიამ, 82-ე წუთზე დააფიქსირა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	34	23	6	5	60-28	75
2.დინამო	34	20	6	8	70-36	66
3.ტორპედო	34	18	9	7	59-25	63
4.ჩიხურა	34	18	6	10	52-32	60
5.დილა	34	15	12	7	54-39	57
6.ლოკომოტივი	34	11	8	15	42-51	41
7.რუსთავი	34	7	13	14	30-43	34
8.სიონი	34	8	7	19	38-60	31
9.სამტრედია	34	4	9	21	27-74	21
10.კოლხეთი	34	4	8	22	26-70	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოსაკას ინციდენტის გამო სპეციალური კომისია შეიქმნა

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები განიხილეს.

ეს ოსაკაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, იაპონიის ქალაქ ოსაკაში ქართველ ძიუდოისტებს შორის ჩხუბი მოხდა. კულუარული ინფორმაციით, რომ ლაშა შავდათუაშვილსა და ვაჟა მარგველაშვილს იმ ძიუდოისტებმა სცემეს, რომლებიც ტურნირზე იმყოფებოდნენ. საქმეში არ ფიგურირებს მხოლოდ გურამ თუშიშვილის გვარი.

სხდომის დასრულების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ათაბეგაშვილმა მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ისაუბრა.

გიორგი ათაბეგაშვილი:

– აღმასკომის სხდომაზე მოწვეული იყო ოსაკაში მყოფი ერთ-ერთი მწვრთნელი, ვისგანაც მოვისმინეთ უშუალოდ ინფორმაცია, რაც აღმასკომს აძლევს იმის საფუძველს, რომ შევქმნათ სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ამ ფაქტს და შეისწავლის საფუძვლიანად. კომისიაში შევლენ აღმასკომის წევრები, ასევე ვეტერანი ძიუდოისტები, ასევე შესაძლოა ჩავართოთ სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის სპორტის კომიტეტი, ოლიმპიური კომიტეტი და ჟურნალისტებიც. ეს შემდგომში მოგვცემს რეალურ სურათს მოხდა თუ არ მოხდა ეს ინციდენტი.

რაც შეეხება სპორტსმენებს, მოხდება კომისიის მიერ მათი დაბარება, როცა ისინი ჩამოვლენ საქართველოში. კომისია ორშაბათიდან დაიწყებს მუშაობას. ჯერჯერობით, ჩვენ ამის სრული სურათი არ გვაქვს, სწორედ ამიტომ ვქმნინთ კომისიას. კომისიაზე მოწვეულ მწვრთნელს, რომ დაედასტურებინა, კომისიის გარეშეც მივიღებდით გადაწყვეტილებას. ახლა კომისია საჭიროა, რათა საზოგადოებაში კითხვები არ დარჩეს.

ასევე ცნობილი გახდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ჩინეთში გასამართ გუანჟოუს მასტერსზე:

ამირან პაპინაშვილი (60), ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ბექა ღვინიაშვილი (90), ვარლამ ლიპარტელიანი (100), გურამ თუშიშვილი (+100).

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში 4 ისეთი ძიუდოისტი ფიგურირებს, რომლებიც ოსაკის ინციდენტში ფიგურირებენ.

შედეგები

1 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ბარნლი 2:0
ლესტერი-უოტფორდი 2:0
სიტი-ბორნმუთი 3:1
ნიუასლი-ვესტ ჰემი 0:3
ჰადერსფილდი-ბრაიტონი 1:2
საუთჰემპტონი-მანჩესტერი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	14	12	2	0	43:6	38
2.ლივერპული	13	10	3	0	26:5	33
3.ტოტენჰემი	13	10	0	3	23:11	30
4.ჩელსი	13	8	4	1	28:11	28
5.არსენალი	13	8	3	2	28:16	27
6.ევერტონი	13	6	4	3	20:15	22
7.მანჩესტერი	14	6	4	4	22:23	22
8.ლესტერი	14	6	3	5	20:17	21
9.ბორნმუთი	14	6	2	6	23:21	20
10.უოტფორდი	14	6	2	6	17:19	20
11.ბრაიტონი	14	5	3	6	16:20	18
12.ვულვზი	14	4	4	6	13:17	16
13.ვესტ ჰემი	14	4	3	7	17:22	15
14.კრ.პალასი	14	3	3	8	10:17	12
15.ნიუკასლი	14	3	3	8	11:19	12
16.კარდიფი	14	3	2	9	13:27	11
17.ჰადერსფილდი	14	2	4	8	9:24	10
18.საუთჰემპტონი	14	1	6	7	12:26	9
19.ბარნლი	14	2	3	9	13:29	9
20.ფულემი	13	2	2	9	14:33	8

ინგლისი. ჩემპიონლიგა

შეფილდი-ლიდსი 0:1
ბირმინგემი-პრესტონი 3:0
ბლექბერნი-უენსდი 4:2
ბოლტონი-უიგანი 1:1
დერბი-სუონსი 2:1
ქარ-ჰალი 2:3
ნორვიჩი-როტერჰემი 3:1
ნოტინგემი-იფსვიჩი 2:0
რედინგი-სტოკი 2:2
მიდლსბრო-ასტონ ვილა 0:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-უესკა 2:0
ვალიადოლიდი-ლეგანესი 2:4
ხეტაფე-ესპანიოლი 3:0
რეალი-ვალენსია 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.სევილია	13	8	2	3	25:14	26
2.ბარსელონა	13	7	4	2	35:19	25
3.ატლეტიკო	13	6	6	1	17:9	24
4.ალავესი	13	7	2	4	17:13	23
5.რეალი	14	7	2	5	22:19	23
6.ესპანიოლი	14	6	3	5	17:16	21
7.ხეტაფე	14	5	5	4	15:11	20
8.ხირონა	13	5	5	3	16:15	20
9.სოსიედადი	13	5	4	4	17:15	19
10.ლევანტე	13	5	3	5	20:21	18
11.ეიბარი	14	5	3	6	15:19	18
12.სელტა	14	4	5	5	25:22	17
13.ვალენსია	14	3	8	3	11:11	17
14.ვალიადოლიდი	14	4	5	5	11:14	17
15.ლეგანესი	14	4	4	6	14:18	16
16.ბეტისი	13	4	4	5	13:17	16
17.ვილიარეალი	13	3	5	5	13:14	14
18.ბილბაო	13	1	8	4	14:20	11
19.რაიო	14	2	4	8	15:28	10
20.უესკა	14	1	4	9	12:29	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-ელჩე 1:1
მალაგა-გრანადა 0:1
რეუსი-მალიორკა 0:2
ალმერია-ესტრემადურა 1:1
ხიხონი-ტენერიფე 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-ფრაიბურგი 2:0
ვერდერი-ბაიერნი 1:2
ჰანოვერი-ჰერტა 0:2
შტუტგარტი-აუგსბურგი 1:0
ჰოფენჰაიმი-შალკე 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	13	10	3	0	37:13	33
2.გლადბახი	12	8	2	2	30:14	26
3.ბაიერნი	13	7	3	3	25:18	24
4.აინტრახტი	12	7	2	3	29:14	23
5.ლაიპციგი	12	6	4	2	22:10	22
6.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	28:19	21
7.ჰერტა	13	5	5	3	21:20	20
8.ვერდერი	13	5	3	5	21:22	18
9.მაინცი	13	5	3	5	12:14	18
10.ვოლფსბურგი	12	4	3	5	16:17	15
11.შალკე	13	4	2	7	14:18	14
12.ლევერკუზენი	12	4	2	6	18:24	14
13.ფრაიბურგი	13	3	5	5	16:22	14
14.აუგსბურგი	13	3	4	6	20:22	13
15.შტუტგარტი	13	3	2	8	9:26	11
16.ნიურნბერგი	12	2	4	6	13:29	10
17.ჰანოვერი	13	2	3	8	15:28	9
18.ფორტუნა	13	2	3	8	13:29	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლშტადი-ჰამბურგი 1:2
კიოლნი-ფიურტი 4:0
ზ.პაული-დინამო 1:1
უნიონი-დარმშტადი 3:1

იტალია. სერია ა

სპალი-ემპოლი 2:2
ფიორენტინა-იუვენტუსი 0:3
სამპდორია-ბოლონია 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	14	13	1	0	31:8	40
2.ნაპოლი	13	9	2	2	26:13	29
3.ინტერი	13	9	1	3	25:10	28
4.ლაციო	13	7	2	4	19:15	23
5.მილანი	13	6	4	3	22:17	22
6.პარმა	13	6	2	5	14:16	20
7.რომა	13	5	4	4	22:16	19
8.სამპდორია	14	5	4	5	21:17	19
9.სასუოლო	13	5	4	4	21:19	19
10.ატალანტა	13	5	3	5	25:17	18
11.ფიორენტინა	14	4	6	4	18:13	18
12.ტორინო	13	4	6	3	17:15	18
13.კალიარი	13	3	6	4	12:16	15
14.ჯენოა	13	4	3	6	18:27	15
15.სპალი	14	4	2	8	13:23	14
16.ემპოლი	14	3	4	7	17:25	13
17.უდინეზე	13	3	3	7	12:18	12
18.ბოლონია	14	2	5	7	12:22	11
19.ფროზინონე	13	1	4	8	10:28	7
20.კიევო	13	0	4	9	10:30	1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კოზენცა-პადოვა 2:1
კრემონეზე-კროტონე 1:0
ჩიტადელა-სალერნიტანა 3:1
ასკოლი-სპეცია 3:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლილი-ლიონი 2:2
ანჟე-კაენი 1:1
გენგამი-ნიცა 0:0
მონაკო-მონპელიე 1:2
ნიმი-ამიენი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	14	14	0	0	46:7	42
2.მონპელიე	15	8	5	2	24:11	29
3.ლიონი	15	8	4	3	26:18	28
4.ლილი	15	8	3	4	23:14	27
5.სტ.ეტიენი	15	7	5	3	22:18	26
6.მარსელი	14	8	1	5	27:22	25
7.ნიცა	15	7	3	5	12:14	24
8.ნიმი	15	5	5	5	22:20	20
9.რეიმსი	14	5	5	4	10:13	20
10.სტრასბური	14	4	6	4	20:17	18
11.ნანტი	15	4	5	6	21:22	17
12.ბორდო	14	4	5	5	14:15	17
13.ანჟე	15	4	5	6	19:21	17
14.რენი	14	4	5	5	18:21	17
15.ტულუზა	14	3	5	6	11:22	14
16.კაენი	15	2	7	6	12:18	13
17.ამიენი	15	4	1	10	14:27	13
18.დიჟონი	14	3	3	8	12:23	12
19.მონაკო	15	2	4	9	14:24	10
20.გენგამი	15	1	5	9	10:30	8

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

გრენობლი-მეცი 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვიტესი-ემენი 1:1
ალკმაარი-ტილბურგი 0:2
გრაფშხაპი-ზვოლე 0:2
ჰერენვენი-სიტარდი 3:1

ბელგია. პრიმერა ლიგა

ანდერლეხტი-ანტვერპენი 1:1
ბრუგეი-ზულტე 2:0
ბერინენი-ოსტენდე 1:0
ლოკერენი-ბანგორ სიტი 2:0
ბანგორ სიტი-ანტვერპენი 0:1
ბრუგეი-ბერინენი 2:0
ოსტენდე-ლოკერენი 1:1
ზულტე-ანდერლეხტი 1:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ბერჩემი-ანდენლეტი 1:1
ბანგორ სიტი-ბერჩემი 1:0
ანდენლეტი-ბანგორ სიტი 0:1
ბერჩემი-ანდენლეტი 1:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ბერჩემ-ანდენლეტ 1:1
ბანგორ სიტ-ბერჩემ 1:0
ანდენლეტ-ბანგორ სიტ 0:1
ბერჩემ-ანდენლეტ 1:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ბერჩემ-ანდენლეტ 1:1
ბანგორ სიტ-ბერჩემ 1:0
ანდენლეტ-ბანგორ სიტ 0:1
ბერჩემ-ანდენლეტ 1:1

ესტონეთი დამარცხებულია. დღეს ისრაელს ვმასპინძლობთ

ესტონეთი-საქართველო 73:80
(19:22, 13:19, 17:16, 24:23)

დღეს საქართველოს ნაკრები შინ ისრაელის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევია, სადაც საქართველოს ნაკრებს ძალიან მიზერული შანსი დარჩა. თუმცა, დარჩა.. თეორიული...

მანამდე კი ილიას ზუროსის გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენებმა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ტალინში 80:73 დაამარცხა ესტონეთის ეროვნული ნაკრები. ამით საქართველო ცხრილში კონკურენტ ისრაელს გაუთანაბრდა და ურთიერთშეხვედრების უპირატესობის ხარჯზე მის წინა, მე-4 ადგილს იკავებს.

არადა, ისრაელმა თელ ავივში სერბეთი დაამარცხა და ჯგუფიდან გასვლის, ანუ სამეულში მოხვედრის ამბიცია გაუჩნდა. შესაბამისად, დღეს, თბილისში გასამართი მატჩი ქართველებისთვის უმძიმესი იქნება, რადგან ებრაელების ბედი თავიანთ ხელშია: თუკი დარჩენილ 3-ივე შეხვედრას მოიგებენ, სერბეთს გადაასწრებენ და მსოფლიო ჩემპიონატზე გავლენ. საქართველოს სერბეთთან პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წაგებული 2 მარცხი უფუჭებს საქმეს და ზუროსის გუნდის ჯგუფიდან გასვლის ბედი მხოლოდ ჩვენებზე არ არის დამოკიდებული.

რაც შეეხება ტალინში გამართულ შეხვედრას, პირველი პერიოდი არცთუ იოლი გამოდგა. ესტონელები სოლიდურ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენებს, მჭიდრო დაცვით ეთამაშებოდნენ და შეცდომების დაშვებას აიძულებდნენ. სწრაფი შეტევებით ესტონელებმა საკმაოდ ქულები მოიხვეჭეს და მიუხედავად გიორგი შერმადინისა და გოგა ბითაძის შედეგიანობისა, პირველი პერიოდი 3 ქულით – 19:22 დამთავრდა.

მეორე მეოთხედში ქართველებმა უპირატესობა მოიპოვეს. შეცვლაზე შემოსულმა მოთამაშეებმა დაცვაც გაამაგრეს და შეტევაშიც უხვად ამარაგებდნენ შერმადინს, რომელიც პირველი ნახევრის შემდეგ მოგროვებული 15 ქულით, რომ იტყვიან, შეუჩერებელი გახლდათ. ქართველების გაქცევის შემდეგ, მეორე მეოთხედის ბოლოსწინა წუთზე ჩვენმა უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა, თუმცა ბოლო წამზე ესტონელებმა ჩვენი შეცდომით ისარგებლეს და დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ – 32:41.

მეორე ნახევარი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო, რომლებმაც ჯერ ორქულიანი, შემდეგ სამიანი ჩააგდეს და ილიას ზუროსი აიძულეს, წუთშესვენება აეღო. ესტონელებმა მაინც შეუპოვრად განაგრძეს თამაში და ერთ მომენტში ქართველებს ჩამორჩენა მინიმუმამდე გაუბათილეს. ჩვენი გუნდი მალევე გამოცოცხლდა, გიორგი ცინცაძის და თად მაკფადენის ზუსტი ქმედებებით თამაში დაღაგდა და მესამე პერიოდის დასკვნით წუთებში დუდა სანაძისა და შერმადინის შედეგიანობით საქართველომ კვლავ ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა.

ბოლო ათწუთეულის წინ სტატუსკვო აღდგა, ესტონეთი ისევ 9 ქულას აგებდა და ბოლო პერიოდში მოსაგებად შემოგვიტია. დიდ ბრძოლაში საქართველოს ნაკრები ახერხებდა და მასპინძლებს ახლოს არ უშვებდა. ესტონელებმა რამდენჯერმე მოახერხეს 3-4 მოახლოება, თუმცა ხან მაკფადენი, ხანაც გოგა ბითაძე შეტევებს შედეგიანად აგვირგვინებდა და შეხვედრის დასრულებამდე 7:30 წუთით ადრე ქართველების ლიდერობა ისევ 9 ქულას (64:55) შეადგენდა.

თამაშიც ასე ჩამთავრდა. ესტონელები ხან მოგვიახლოვდებოდნენ 6-7 ქულით, ხან 10-ით ჩამორჩებოდნენ. საბოლოოდ ქართველებმა მოახერხეს სასურველი სხვაობის ისე შენარჩუნება, რომ ვითარება არ დაძაბულა და საქართველომ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ჩვენს ნაკრებს 23 ქულითა და 11 მოხსნით გიორგი შერმადინმა ულიდერა. ორმაგი დუბლი – 19 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა გოგა ბითაძესაც, ხოლო თად მაკფადენის ანგარიშზე 19 ქულა დაგროვდა. 7-7 ქულით დაასრულეს მატჩი დუდა სანაძემ და გიორგი ცინცაძემ, ამ უკანასკნელს კი 7 პასიც ჰქონდა. 3 ქულა მიითვალა ლევან ფაცაციამ, ხოლო 2 – მიხეილ ბერიშვილმა.

დუბლინში საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა



დუბლინში ევრო 2020-ის შესარჩევის წილისყრა გაიმართა და შესარჩევზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა. 4 ჯგუფში მეტოქეებად გვერგო შვეიცარია, დანია, ირლანდია და გიბრალტარი.

შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერი ჯგუფია, არა იმიტომ, რომ შესარჩევი ეტაპით ევროპის ჩემპიონატზე გასვლის პრეტენზია გვქონდეს, რადგან მეტოქეები ნამდვილად არ არიან ხელწამოსაკრავი. მართალია, სახელებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ დაბალანსებულ სწორ და გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. თუმცა, ზუსტად ასეთ გუნდებთან არის შესაძლებელი კლასის ამაღლება და რაციონალური თამაშის სწავლა.

დანარჩენ ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:

1 ჯგუფი: ინგლისი, ჩეხეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, კოსოვო;

მე-2 ჯგუფი: პორტუგალია, უკრაინა, სერბეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი;

მე-3 ჯგუფი: ჰოლანდია, გერმანია, ჩრდილოეთ ირლანდია, ესტონეთი, ბელარუსი;

მე-5 ჯგუფი: ხორვატია, უელსი, სლოვაკეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი;

მე-6 ჯგუფი: ესპანეთი, შვედეთი, ნორვეგია, რუმინეთი, ფარერები, მალტა;

მე-7 ჯგუფი: პოლონეთი, ავსტრია, ისრაელი, სლოვენია, მაკედონია, ლატვია;

მე-8 ჯგუფი: საფრანგეთი, ისლანდია, თურქეთი, ალბანეთი, ანდორა;

მე-9 ჯგუფი: ბელგია, რუსეთი, შოტლანდია, კვიპროსი, ყაზახეთი, სან მარინო;

მე-10 ჯგუფი: იტალია, ბოსნია, ფინეთი, საბერძნეთი, სომხეთი, ლიხტენშტეინი.

ჯგუფის პირველ და მეორეადგილოსანები პირდაპირ მოხვდებიან ევროპის ჩემპიონატზე, დარჩენილი 4 მონაწილის ვინაობა კი 2020 წლის მარტში გასამართი ერთა ლიგის ფლეი ოფების შედეგად გაირკვევა.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები არიან: აზერბაიჯანი, დანია, ინგლისი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, ჰოლანდია, ირლანდია, რუმინეთი, რუსეთი, შოტლანდია, ესპანეთი.

მატჩების კალენდარი – 2019 წელი

1 ტური: ..... 21-23 მარტი;
მე-2 ტური: ..... 24-26 მარტი;
მე-3 ტური: ..... 7-8 ივნისი;
მე-4 ტური: ..... 10-11 ივნისი;
მე-5 ტური: ..... 5-7 სექტემბერი;
მე-6 ტური: ..... 8-10 სექტემბერი;
მე-7 ტური: ..... 10-12 ოქტომბერი;
მე-8 ტური: ..... 13-15 ოქტომბერი;
მე-9 ტური: ..... 14-16 ნოემბერი;
მე-10 ტური: ..... 17-19 ნოემბერი.

ფინალური ტურნირი 2020 წლის 12 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

3 დეკემბრისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

ტონა-ნახევრიანი ხარი პოპულარული გახდა

ავსტრალიაში უზარმაზარმი ხარი, სახელად ნიკერსი, დაკვლას გადაურჩა, ხოლო თავისი გოლიათური აღნაგობის წყალობით ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა.

დაკოდილი გოლშტინო-ფრიზის ჯიში ხარი დაახლოებით 1,4 ტონას იწონის, ხოლო მისი სიმაღლე 194 სანტიმეტრს აღწევს. შვიდი წლის ნიკერსი, რომელიც დასავლეთ ავსტრალიის შტატში მდებარე ფერმაში გაიზარდა, ქვეყანაში ყველაზე დიდ ხარად ითვლება.

ოქტომბერში მისი პატრონი, ფერმერი ჯეფ პირსონი, ცხოველის აუქციონზე გაყიდვას შეეცადა, მაგრამ არავინ მოისურვა მისი ყიდვა, ვინაიდან პოტენციური მყიდველები შიშობდნენ, რომ მის დამორჩილებას ვერ შეძლებდნენ.

– ის ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა ხარებისგან, მათზე დიდი იყო. ჩვენ დროდადრო მის თანამოძმეებს დასაკლავად ვაგზავნიდით, თუმცა მას დასაკლავად ვერ ვიმეტებდით და ვფიქრობდით: „მოდით, დავიტოვოთ, არავის არაფერს ვნებს“, – განაცხადა პირსონმა. მან აღიარა, რომ ის ერთი წლის იყო, როდესაც იყიდა და იმედი ჰქონდა, რომ ნახირის გაკონტროლებაში დაეხმარებოდა.

ამჟამად ნიკერსი პრესტონის ტბასთან საძოვრებზე ბინადრობს. ფერმერი მის დაკვლას სიბერემდე არ აპირებს, თუმცა, ამავე დროს, ჩივის იმის გამო, რომ გათენების შემდეგ ჟურნალისტები მას ყოველ ათ წუთში ურეკავენ. აღსანიშნავია, რომ გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით დღესდღეობით ყველაზე დიდ ხარად იტალიაში მობინადრე ხარი, სახელად ბელინი, ითვლება. მისი სიმაღლე 203 სანტიმეტრს აღწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საჯვეოხდი



1. იალქანი; 2. სამეტყველო ორგანო; 3. მდინარე აზიაში; 4. საფლობი ტალახი; 5. ხელოვნური თავლია წყალსაცავი; 6. თავნება; 7. სახელმწიფოთა ერთგვარი კავშირი; 8. ტიბეტური ხარი; 9. ... სარკოზი; 10. პარკოსანი მცენარე; 11. ერთი სახელმწიფოს მეორეზე თავდასხმა მისი დაპყრობის მიზნით; 12. ეშმაკი; 13. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 14. ...-ლანკა; 15. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი; 16. ვაშლის ჯიში; 17. ქიმიური ელემენტი; 18. ზოგი დიდი ცხოველის ფეხი; 19. ... ჩიმარო; 20. ხელოვნების დარგი; 21. ქალაქი რუმინეთში; 22. ... პაჩინო; 23. ერთგვარი წითელი ღვინო; 24. სინაგოგა; 25. ცხიმოვანა; 26. ქალაქი ბელგიაში; 27. მდინარე ევროპაში; 28. სპორტული იარაღი; 29. დამხმარე თეორემა; 30. ... ჰიტლერი; 31. საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბატატი; 2. ხოჭო; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. მიკოლოგია; 12. ქაჯაია; 14. ალმასი; 16. იტამი;

თარაზულად: 1. ბურდუხანი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. მადონა; 10. ხაში; 11. არაბიკა; 13. ჭვავი; 15. სალაჰი; 17. დიორამა; 18. ჯაპანა; 19. ოდისეა; 20. მიტარბი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფლეგმა; 2. აიდა; 3. ალარმისტი. 4. ურანი; 5. პასტელი; 8. ზენიტი; 9. ზინგშპილი; 12. ზუროსი; 14. კატარი; 16. ოკაცე.

თარაზულად: 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. ეპიზოდი; 9. ზღარბი; 10. რიყე; 11. ლიპტონი; 13. ჟოკეი; 15. სულიკო; 18. ტოშიბა; 19. იბერია; 20. ჰელიოსი.

ირანელი არტისტი აჰუ საქართველოში არ შემოუშვეს

საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის დროს ჩვენი ქვეყნის მესაზღვრეებმა შემოსვლაზე უარი განუცხადეს ირანელ არტისტ აჰუს.

ინფორმაცია ამის შესახებ კლუბმა „მტკვარზე“ გაავრცელა, სადაც მუსიკოსს უნდა დაეკრა:

– საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის დროს აბსოლუტურად გაუგონარი მიზეზით ქვეყანაში შემოსვლაზე უარი უთხრეს ჩვენს დღევანდელ სტუმარს აჰუს, რომელიც კლუბში დაგეგმილი ღონისძიების ჰედლაინერი უნდა ყოფილიყო.

აჰუ არის არტისტი თეირანიდან, რომელიც თავისი ერთ-ერთი ლეიბლით უდიდეს გავლენას ახდენს ირანის კულტურულ ცხოვრებაზე. ჩვენი სამი სტუმრიდან აჰუ ერთადერთია, რომელმაც შეძლო დაეტოვებინა ირანი და ამჟამად ბერლინში ცხოვრობს. მისი მოღვაწეობის, კულტურული გავლენისა და ემიგრაციის შემდეგ ჩვენც და არტისტსაც გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ირანის მთავრობისთვის ის სასურველი პერსონა არ არის. სამწუხაროდ, ამ მიზეზით თანამედროვე აღმოსავლეთის ერთ-ერთი განსაკუთრებული არტისტი არასასურველი პერსონა აღმოჩნდა საქართველოსთვისაც.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ პარასკევს, ღამით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდით სიტუაციის გასარკვევად და არტისტის დასახმარებლად და ვცდილობდით, დავკავშირებოდით ქალაქის მიერ სპეციალურად საკლუბო სცენისა და გართობის ინდუსტრიისთვის დანიშნულ პერსონას, სახელმწიფომ და ქალაქმა არანაირი ინტერესი არ გამოავლინა და ყველა მხრიდან უპასუხოდ დაგვტოვა.

მით უმეტეს იმის ფონზე, რომ ახლა თბილისში ღამის ეკონომიკის ფორუმი მიმდინარეობს, ასეთი უყურადღებო ქმედება სახელმწიფოსა და ქალაქის ადმინისტრაციისგან ადასტურებს, რომ ისინი საკლუბო სცენას ხედავენ მხოლოდ როგორც ეკონომიკას და არც ერთ შემთხვევაში, როგორც კულტურულ სივრცეს.

კომპოზიტორ დავით მალაზონიას სამარშრუტო ტაქსმა დაარტყა

კომპოზიტორს, ეთნო-ჯაზ ჯგუფ „ირიაოს“ სამხატვრო ხელმძღვანელს დავით მალაზონიას სამარშრუტო ტაქსმა დაარტყა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მუსიკოსი კომატოზურ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ანი ლაღიძემ გაავრცელა:

– კომპოზიტორი, ეთნო-ჯაზ ჯგუფ „ირიაოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი დავით მალაზონია პეკინის ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსის ძლიერი დარტყმის შედეგად გადაყვანილ იქნა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სახის ძვლებისა და ქვემო კიდურების მრავლობითი მოტეხილობით.

მალაზონიას ოჯახი მადლიერია თბილისის მერიიდან მოთხოვნილი დახმარების მიღებით 10.000 ლარის ოდენობით. იმდენად დიდია მკურნალობისა და სარეაბილიტაციო მომსახურების ხარჯი, რომ ოჯახმა აღარ იცის, რა გზას დაადგეს. ოჯახი საბოლოო გადაწყვეტილებას ჯანდაცვის სამინისტროდან ელოდება.

გადადეთ მცირე ხნით საკუთარი საქმე და ვიფიქროთ ერთად, თუ როგორ დავუდგეთ გვერდში კომპოზიტორ დათო მალაზონიას, კონცერტი იქნება ეს თუ სხვა სახის შემოწირულობა ფონდიდან თუ ბიზნესსექტორიდან. მას ახლა სჭირდება ჩვენი თანადგომა.

გოგი ჭიჭინაძე ირაკლი მურჯიკნელის წინააღმდეგ



დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე და ოპერის მომღერალი ირაკლი მურჯიკნელი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ხელოვანებს შორის დაპირისპირების მიზეზი განსხვავებული აზრი გახდა.

გოგი ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ სამეგრელოში, სოფელ ნარაზენში აღმოჩენილ სამალავში ნაპოვნ „კასრის ვიდეოებს“ უყურა და საშინლად შეძრწუნებულია.

გოგი ჭიჭინაძე, დირიჟორი:

– ვნახე ეს ენით აღუწერელი კადრები. ყველა ჩემს კოლეგას, რომლებიც მხარს უჭერენ ნაცმოძრაობას, მივმართავ: თქვენი დედაც მ.....ნ!!!

აი ესეც წაიკითხეთ, „განსხვავებული აზრის“ მქონეებო. ტენორ მურჯიკნელს მივმართავ, რომელსაც უწუწუნია, რატომ ვაგინებ განსხვავებული აზრის მქონე კოლეგებს: თუ არ დაგეზარება, ცოტა დაბლა ჩადი ჩემს პოსტებში და ისიამოვნე წამების კადრებით, სულხან მოლაშვილის ისტორიით...

იცი, რისი ღირსი ხარ? ზუსტად იგივე უნდა გაგიკეთონ შენ და შენნაირებს, მერე მოვისმენ შენს განსხვავებულ აზრს. მეგობრებო, მივიღე უმძიმესი გადაწყვეტილება, გავწყვიტო ურთიერთობა ყველა ახლობელთან და ნათესავთან, ვისაც უნდა მიშა, გრიშა, ნაცები და ზონდერები, ვისაც რუსთავი 2-ის ყურება სიამოვნებას ანიჭებს, ვინც იძახის „გოგი, ორივე ერთი ნაგავია!“ ან „არა, მე ნაცები კი არ მინდა, მაგრამ ესენიც არ მინდა და ამიტომაც გრიშას მივეცი ხმა“. ერთი ქუთაისელი მეგობარი უკვე დავბლოკე. ვაგრძელებ. ეს ჩემთვის საშინელებაა, მაგრამ იძულებული ვარ. იქონიეთ თქვენი „განსხვავებული აზრი“, მაგრამ შორს ჩემგან.

დირიჟორის განცხადებას ოპერის მომღერალი ირაკლი მურჯიკნელი ასე გამოეხმაურა:

– ბატონ გოგო ჭიჭინაძეს, ცნობილ დირიჟორსა და საოპერო კათედრის გამგეს, მოგმართავთ თქვენ! ისევ თქვენდა სამწუხაროდ, დაბლოკილი გყავართ ჩემი განსხვავებული აზრის გამო. ამიტომ აქ ბევრია ისეთი, რომელიც ჩემს პოსტს დიდი სიამოვნებით წაგიკითხავთ. თქვენი დამოკიდებულება იმ კოლეგებისადმი რომლებსაც აქვს განსხვავებული აზრი, არის სამარცხვინო, მე ჩემს აზრს ყოველთვის საჯაროდ გამოვთქვამდი და ასეც გავაგრძელებ!

ეს წუწუნი ნამდვილად არ იყო, რასაც თქვენ წუწუნს ეძახით და, აი, თქვენ საქციელს რა ჰქვია, როცა ქალს „ბოსელში უშვებ“ განსხვავებული აზრისთვის და კოლეგებს აგინებთ, ეს ცალკე თემაა და გრცხვენოდეთ!

პ.ს. მაინტერესებს, განსხვავებული აზრის მქონე სტუდენტებს რას უზამთ, ქულას დააკლებთ? სპექტაკლს არ ამღერებთ თუ საერთოდ ჩაჭრით?

ნოდარ ნიკოლაიშვილი სასამართლოთი იმუქრება

კომპოზიტორი ნოდარ ნიკოლაიშვილი სასამართლოთი იმუქრება. ამის მიზეზი შემოქმედის დაუკითხავად მისი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათის, სიმღერის „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი“ უნებართვოდ გამოყენებაა.

ნოდარ ნიკოლაიშვილი:

– ვიღაცა ნაცმა გამოიყენა ჩემი სიმღერა ფოტოკოლაჟზე ოცნების საწინააღმდეგოდ. მივმართავ აუცილებლად სასამართლოს, რათა დავიცვა ჩემი უფლებები.

დუტა სხირტლაძე კულინარი გახდა

მსახიობი დუტა სხირტლაძე კულინარი გახდა. მსახიობი და შოუმენი კიდევ ერთ ახალ შეთავაზებას დათანხმდა და იმედის არხზე დილის გადაცემაში გემრიელ კერძებს ამზადებს.

მსახიობისთვის სამზარეულოში ტრიალი უცხო არ არის, რადგან კულინარია ბავშვობიდან აინტერესებდა.

„დუტას კულინარია“ – ასე ეწოდება რუბრიკას, რომელშიც დუტა ჯანსაღი პროდუქტისგან ჯანსაღ კერძებს მოამზადებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

ცოლმა ქმარს მეორე ცოლის მოყვანა ჩაუშალა

ნიგერიის იმოს შტატში ქალი საქორწინო ცერემონიაში ჩაერია, რათა მეუღლისთვის მეორე ცოლის მოყვანაში ხელი შეეშალა.

მრავალცოლიანობის წარუმატებელ მოსურნეს თავიდანვე შეექმნა სირთულეები. ის ჯვრისწერის გამართვას ორმოცდაათიანელების ეკლესიაში გეგმავდა, მაგრამ ეს მცდელობა ღვთისმსახურთან შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა. მღვდელმა შეიტყო, რომ მამაკაცს ცოლი უკვე ჰყავდა და მასთან საქმის დაჭერაზე უარი განაცხადა.

საქორწინო პროცესია სხვა ეკლესიისკენ გაემართა, მაგრამ იმ დროისთვის მამაკაცის განზრახვის შესახებ ცნობილი გახდა მისი ცოლისთვის. ის ეკლესიაში პალმის ზეთით სავსე ჯამით შეიჭრა და ის პატარძალს შეასხა, მას გაუფუჭა საქორწინო კაბა და ფატა. ამის შემდეგ ინციდენტი კინაღამ ქალების ჩხუბში გადაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მრავალცოლიანობა ნიგერიის ჩრდილოეთის მხოლოდ 12 შტატშია აღიარებული, ხოლო შტატი იმო, სადაც აღნიშნული ინციდენტი მოხდა, ასეთი შტატების რიცხვში არ შედის.

მამამ ზვიგენს შვილი შიშველი ხელებით გამოსტაცა

ბაჰამის კუნძულებზე ზვიგენი-ძიძა ბავშვს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

რვა წლის ეშერ ჯონსი, ამერიკის იუტის შტატიდან და სხვა ტურისტები აუზში ბანაობდნენ, რომელშიც ექვსი ზვიგენი-ძიძა იყო გაშვებული და რომლებიც ადამიანებისთვის სრულიად უსაფრთხოდ ითვლებიან. მოულოდნელად ერთ-ერთი ზვიგენი ბავშვს ბეჭში ჩააფრინდა.

– საშინელება იყო, – იხსენებს ბავშვი, – თავიდან მეგონა, რომ მამა მეხუმრებოდა, მაგრამ შემდეგ გავიფიქრე, რომ არა, მამა ასე არ მატკენდა.

ტკივილისგან აყვირებულ ბავშვს მამა მიეჭრა, რომელიც იმ მომენტში ასევე აუზში იმყოფებოდა.

– ჯერემიმ, ჩემმა ქმარმა, არა მხოლოდ ბავშვის ყვირილი გაიგონა, არამედ მასზე თავდამსხმელი ზვიგენიც დაინახა, – განაცხადა ბავშვის დედამ, – მან სწრაფად მოახდინა რეაგირება და მას ხელი სტაცა.

მამაკაცმა ბავშვს ზურგიდან ზვიგენი მოაშორა, შემდეგ ხელში აიტაცა და გასასვლელისკენ წაიყვანა. ამ დროს აუზში პანიკა დაიწყო და ბავშვებიც და მოზრდილებიც ამოსასვლელი კიბისკენ გაქანდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ აუზიდან ამოსვლაში. ამით მათ დაშავებულ ბავშვს გზა გადაუჭრეს და აუზიდან ამოყვანაში ხელს უშლიდნენ.

ტურისტებს შორის ექიმებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც ეშერს ზურგზე ნაჭრილობევი მოჰბანეს და დაასკვნეს, რომ ნაკერების დადება არ დასჭირდებოდა. ბავშვის დედის თქმით, მის შვილს გაუმართლა, რომ მამა სწრაფად ჩაერია საქმეში და ზვიგენმა უფრო ღრმად მისთვის კბილების ჩასობა ვერ მოახერხა.

ბრბომ მამაკაცი ნიანგად გამოაცხადა და ჩაქოლა

ზამბიაში გააფთრებულმა ბრბომ მამაკაცი იმის გამო ჩაქოლა, რომ, მათი აზრით, ის ნიანგად გარდაისახა და გოგონა მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ლუაპულას პროვინციის სამფიას რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. 34 წლის ჩარიტი ჩიბალემ პოლიციაში განაცხადა, რომ მისი 36 წლის ძმა ჩანგანი მუსენჯი გააფთრებულმა ბრბომ მოკლა, რომელიც სამი სოფლის მცხოვრებლებისგან შედგებოდა.

მათ საკუთარი ქმედება იმით ახსნეს, რომ 25 ნოემბერს მუსენჯი თითქოსდა ნიანგად გარდაისახა და მდინარეზე სათევზაოდ მისული 20 წლის გოგონა მოკლა. რამდენიმე დღეში ჭორები მთელ ოლქში გავრცელდა და მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმა ერთობლივი ძალისხმევით მოკლეს და მაშინვე დამარხეს ჯადოქრობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი. როდესაც პოლიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, მამაკაცის სხეული უკვე დამარხული იყო.

გამოძიებას ერთ-ერთი სოფლის უხუცესი, დაღუპული გოგონას მამა და ერთ-ერთი ადგილობრივი ახალგაზრდა დაეხმარა. ამ საქმის გამო ვინმეს დაპატიმრების თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

აფრიკელების რწმენის თანახმად, ადამიანს შეუძლია, გადაიქცეს ნიანგად, ბეჰემოტად ან სხვა ნებისმიერ ცხოველად, რომელიც მის ტოტემს წარმოადგენს.

სახლში დამალული პითონი მისი პატრონის კატებით იკვებებოდა

ტაილანდის ჩეჩენგსაუს პროვინციაში დაიჭირეს პითონი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პენსიონერის სახლში იმალებოდა.

65 წლის რუანგ პეუნგმა უზარმაზარი გველი იმ დროს შენიშნა, როდესაც ის მისი სახლის კარიდან ქუჩაში გასრიალდა. მან ექსტრემალურ სამსახურში დარეკა და მომხდარის შესახებ განაცხადა. შეტყობინების შესამოწმებლად ადგილზე ცხოველების დაჭერის სპეციალისტები მივიდნენ.

პითონს სახლის ქვეშ მიაგნეს. სპეციალისტები საათზე მეტხანს ცდილობდნენ მის გამოყვანას, მაგრამ გველი ერთ-ერთ ბოძზე იყო შემოხვეული და არ ნებდებოდა. საბოლოოდ მათ ქვეწარმავალს სძლიეს: ორნი მას კუდზე ექაჩებოდნენ, მესამე კი სხეულის ზედა ნაწილში ურტყამდა, რათა პითონს ძალა დაეკარგა.

რეპტილია ტომარაში მოათავსეს და პეუნგის სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით უკაცრიელ ადგილზე გაუშვეს.

პენსიონერი თვლის, რომ პითონმა მისი კატები შეჭამა. აღსანიშნავია, რომ მისი ბოლო შინაური ცხოველი გველის დაჭერამდე რამდენიმე საათით ადრე გაუჩინარდა.

– გასულ წელს ჩემი ხუთი თუ ექვსი კატა დაიკარგა, – განაცხადა პენსიონერმა, – დარწმუნებული ვარ, გველი აქ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა. მე ჩემს საწოლში მეძინა, მას კი იქ ქვევით, სახლის ქვეშ.

უზარმაზარ მამალს ორი ქათამი ჰყავს

უზარმაზარი მამლისთვის, რომელმაც ინტერნეტში სახელი საკუთარი ზომების გამო გაითქვა, ერთბაშად ორი ქათამი გამოინახა.

ვიდეორგოლი, რომელშიც 91 სანტიმეტრი სიმაღლის და 7,7 კილოგრამი წონის მამალი საქათმიდან გამოდის, სოციალურ ქსელებში 2017 წლის მარტში გავრცელდა. მაშინ ბევრმა ინტერნეტმომხმარებელმა ვერ დაიჯერა, რომ ასეთი ზომის ფრინველი ნამდვილად არსებობს და ვარაუდი გამოთქვეს, რომ ვიდეორგოლში ფრინველის კოსტიუმში გადაცმული ბავშვია გადაღებული.

თუმცა კოსოვოს რესპუბლიკაში მცხოვრებმა ფერმერმა ფიტი სეიფიაიმ დაადასტურა, რომ მისი მამალი, სახელად მერაკლი, ნამდვილია და ბრამას ჯიშის ქათმებს განეკუთვნება, რომელთა საშუალო წონა 5,5 კილოგრამს შეადგენს.

– მერაკლი მეტად ბედნიერი და ნაზი ფრინველია. მას კარგად ექცევიან და მას ახლა უკვე ორი ქათამი ჰყავს, – განახდა სეიფიაიმ ჟურნალისტებთან საუბარში.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ბრამას ჯიშის მსოფლიოში ყველაზე მაღალი მამლის სახელად ბერნი ითვლება, ინგლისის ესექსის საგრაფოდან, თუმცა მისი სიმაღლე მხოლოდ 41 სანტიმეტრია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6744
- ევრო — 3.0400
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4112
- 100 რუსული რუბლი — 4.0063

ამინდის პროგნოზი 3 დეკემბრისთვის

საქართველოს ისტორია პატარებისთვის 3 ნაწილად

ეს სამი წიგნი მოგვითხრობს საქართველოს გმირულ წარსულსა და დიდ მამულიშვილებზე, საარაკო ბრძოლებსა და საოცარ ამბებზე, რაც კი საქართველოს გადახდენია

4 დეკემბრიდან

ნაწილი I

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

I წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

18 დეკემბრიდან

ნაწილი II

თამარს უამბო დედამა...

II წიგნი ასახავს ჩვენი წარსულის ოქროს ხანას, მანამდე და მის შემდგომ პერიოდს მე-17 საუკუნემდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

25 დეკემბრიდან

ნაწილი III

ბაზალეთისა ტბის ძირას...

III წიგნი მოგვითხრობს ერეკლე მეფის ზეობასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დღემდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ექიმთან მისული ქალი მამაკაცი გამოდგა

ჩინეთში ქალმა, რომელმაც ექიმს მიმართა, შეიტყო, რომ ის ბიოლოგიურად მამაკაცია.

შემთხვევა ხუნანის პროვინციაში მოხდა. 26 წლის ჩინელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, უკვე ერთი წელია, გათხოვილია, მაგრამ ვერ ფეხმძიმდებოდა. მან გინეკოლოგს მიმართა, მან კი განუცხადა, რომ ბიოლოგიურად მისთვის ქალის წოდება შეუძლებელია.

სავარაუდოდ, ის ანდროგენების მიმართ უგრძნობლობის სინდრომითაა დაავადებული, რომლის დროსაც ადამიანს ქალის გარეგნობა აქვს, განვითარებული აქვს ქალის ყველა ორგანო, თუმცა, ამავე დროს, მას არ აქვს საშვილოსნო და საკვერცხეები, მაგრამ აქვს კვერცხები, რომლებიც არ არის ჩამოშვებული. ორგანიზმში Y ქრომოსომის არსებობის გამო ასეთი ადამიანი ბიოლოგიურად მამაკაცად ითვლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ერთი პოლიციელი მეორეს ეუბნება:

– ოქმში ჩაწერე: „თავის ქალის ტრავმა...“

– თუ თავის ქალა-ტვინის?

– ბიჭო, ამას ტვინი რომ ჰქონოდა, ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მოვიდოდა?!

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, ბიზნესი რა არის?

– ეს ისეთი თამაშია, რომელშიც იგებს ის, რომელმაც წესები უკეთ იცის და აგებს ის, რომელიც მათ შესრულებას ცდილობს.

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– აღიარებთ, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, გამვლელებს აწუხებდით, ბილწსიტყვაობდით, ბუნებრივ მოთხოვნილებას პირდაპირ ქუჩაში იკმაყოფილებდით და თეატრში შესვლას ცდილობდით?

– როგორ? თეატრში?!

•••

ორი მამაკაცი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– არ შეგიძლია, უბრალოდ დალიო და არ გამოტყვრე?

– იცი რა, საღამოს ფიქრობ, რომ სვამ, დილით კი აღმოჩნდება, რომ გამოტყვერი...

•••

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, მართალია, რომ ყველა ბავშვს მამა უნდა ჰყავდეს?

– მართალია, შვილო.

– მაშინ რატომაა, რომ ჩვენს ოჯახში სამი ბავშვია და მამა კი მხოლოდ ერთია?

•••

კოჭლი შვილი მამას ომში გაშვებას ეხვეწება. მამა ეუბნება:

– სად უნდა წახვიდე, დაეტიე სახლში! აქ მე უნდა მანერვიულო და იქ სნაიპერი უნდა დატანჯო...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ცოლთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– ორი თვეა, არ ველაპარაკები!

– რატომ?

– მაცლის რო?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

„მის სამყაროს“ პირველი ტრანსგენდერი კონკურსანტი დედობაზე ფიქრობს

ტიტულ „მის ესპანეთი 2018“-ის მფლობელმა ანხელა პონსემ გამოაცხადა, რომ სურს, დედა გახდეს.

მოდელმა ტრანსგენდერმა ესპანეთის ქალაქ სევილიიდან განმარტა, რომ დედობას უფრო ფართო გაგებით განიხილავს, ვიდრე უბრალოდ საკვერცხეების არსებობაა.

– ბავშვთა სახლებში უამრავი ბავშვია, რომლებიც გაშვილებას ელოდებიან. მე შემიძლია, დედა გავხდე, ისე, როგორც სხვა ნებისმიერი ქალი, – განაცხადა მამაკაცად დაბადებულმა 27 წლის პონსემ.

გარდა ამისა, მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავს ყველა ტრანსგენდერის უფლებების დამცველად მიიჩნევს.

– მე ყველას ვუჩვენებ, რომ ტრანსგენდერ ქალებს შეუძლიათ გახდნენ ნებისმიერი, რასაც კი მოინდომებენ: მასწავლებელი, დედა, ექიმი, პოლიტიკოსი და „მის სამყაროც“ კი, – განმარტა მან.

შეგახსენებთ, რომ ანხელა პონსე პირველი ტრანსგენდერი გახდება, რომელიც „მის სამყაროს“ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის ფინალი 17 დეკემბერს ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართება.

მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა ბიჭმა 100 კილოგრამი დაიკლო

ინდოეთის ქალაქ დელის მცხოვრებმა მოზარდმა მიხირ ჯაინმა წონაში ასი კილოგრამი დაიკლო და პირველად მოახერხა კინოში წასვლა. მანამდე ის სავარძელში ვერ ეტეოდა.

14 წლის ჯაინის მაქსიმალური წონა, რომელსაც მსოფლიოს ყველაზე მსუქანი ბიჭი შეარქვეს, 237 კილოგრამს შეადგენდა. 2018 წლის აპრილში მან კუჭის შუნტირების ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც ცხოვრების ჯანსაღ წესზე გადავიდა. მოზარდი იცავს დიეტას და რეგულარულად ვარჯიშობს.

ივნისის ბოლოს ჯაინმა მრავალი წლის განმავლობაში პირველად მოახერხა ქუჩაში დამოუკიდებლად სიარული. ახლახან კი ის ცხოვრებაში პირველად წავიდა კინოთეატრში. მოზარდს ძალიან უყვარს მარველის კომიქსები და სწორედ ამიტომ წავიდა კინოთეატრში ამ სტუდიის ფილმის სანახავად.

– თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ვერ ვიჯერებ, რომ ასე გავხდი. ეს მეტად რთული იყო, თუმცა ამად ღირდა, – აღიარა ჯაინმა. ის აპირებს, ნორმალურ ზომამდე დაიკლოს წონაში, რათა რაც შეიძლება ნორმალურად იცხოვროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ვარდისებრთა ოჯახის ეკლიანი ბუჩქი; 7. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 8. ... და ჯულიეტა; 9. თეძოს ძვალი; 10. საწვავი სითხე; 13. კაენის ძმა; 15. შტატი აშშ-ში; 18. მეტრის მემილიონედი; 20. მამის ან დედის მამა; 21. სურათი ზღვის ხედით; 23. მეცნიერება ადამიანის აზროვნების ცვალებადობის შესახებ; 24. გენერალ-გუბერნატორი ჩინეთში ძველად.

შვეულად: 1. დროებითი დასვენება სამუშაოდან; 2. მავნე არსება, ტყის კაცი; 3. საეკლესიო სურნელოვანი ზეთი; 4. შესაძლებლობა; 5. უდაბნოს „ხომალდი“; 11. ინდოელი მწერალი; 12. ფრანგი ფერმწერი (1831-1903); 14. აქლემების ოჯახის ცხოველი; 16. ეტიკეტი; 17. ცალკეული შემთხვევა; 19. სოფელი აბაშის რაიონში; 21. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912); 22. საქალაქო ტრანსპორტი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ